ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 17 თებერვალი, 2021 №23 (8552) ფასი: 60 თეთრი

## „შვილიშვილს, ნინი ცეცხლაძეს, მოკვლით დაემუქრა“

სულიკო ცეცხლაძეს ბრალი წაუყენეს



გვ.5




გვ.2

## ნიკა მელიას დაპატიმრების საკითხს მოსამართლე ნინო ჩახნაშვილი გადაწყვეტს

# „ოცნება“ სრულ აბსურდშია. მელიას დევნით მან ოპოზიციას საქმე გაუკეთა“



გვ.3

გია ხუხაშვილი: „ოპოზიციას ხელისუფლების ძალისმიერი მეთოდებით ჩამოშლა გაუჭირდება“



## ნიკა მელია: „ქართული ოცნების“ დეპუტატმა ვასილ ჩიგოგიძემ ექვსჯერ დამირეკა“

„მპირდებოდა, რომ ჩემ წინააღმდეგ ხმას არ მისცემდა“



## „მელიას დაკავება კობახიძეს უნდა“



გვ.2

გურამ ჩალაგაშვილი: „ოცნებამ“ იცის, რომ მელიას დაკავებით საკუთარ მუხლებში ტყვიას დაიხლის“

## „მეც ვაპირებდი პარლამენტში შესვლას და მაშინ მეც დამიჭირონ“



გვ.3

მურმან დუმბაძე: „ოცნებას“ პარლამენტში ასლან აბაშიძის გენერალური პროკურორი რესან კონცელიძე უზის“



გვ.4

## „სააკაშვილს უკრაინიდან რუსეთში გაქცევა მოუწევს“

ვახტანგ მაისაია: „საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი რუსეთის რბილი ძალის გამტარებელია“

## „ქართულ ოცნებას“ ძალიან გაუჭირდება“

გიგა ბუკია: „ლელოსა“ და „სტრატეგია აღმაშენებელს“ მესამე პოლიტიკური ცენტრი არ გამოუვათ“



გვ.4

## გომელაურმა გურიის და სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტებში თათბირი ჩაატარა



გვ.5

ISSN 1987-9385

2 იან კელი: „ერთპარტიული მმართველობის მზარდი აჩრდილი აედევნა საქართველოს“

4 გიგი უგულავა: „მოუწევთ სპეცრაზმით მოსვლა“

5 17 წლის ბიჭმა დედა დაჭრა

6 ერაყში აშშ-ის სამხედრო ბაზას თავს დაესხნენ

# „მელიას დაკავება კობახიძეს უნდა“

## გურამ ჩალაგაშვილი: „ოცნებამ“ იცის, რომ მელიას დაკავებით საკუთარ მუხლებში ტყვიას დაიხლის“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს გურამ ჩალაგაშვილი პასუხობს.



***– ბატონო გურამ, ვხედავთ, როგორი პროტესტია ოპოზიციაში. ნიკა მელიას საკითხმა ოპოზიცია გააერთიანა. დღეს ოპოზიციაში ერთ-ერთ მთავარ საკითხად სწორედ ნიკა მელიას დაპატიმრება-არდაპატიმრების საკითხი განიხილება. პარლამენტმა სასამართლოსა და პროკურატურას გზა გაუხსნა. საზოგადოებაში აზრი ორად არის გაყოფილი. ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ კანონზე მაღლა არავინ უნდა დადგეს და მელია არ არის გამონაკლისი. მოვლენების როგორ განვითარებას ელით?***

– მართალია, კანონზე მაღლა ვერ დადგება ვერავინ, მაგრამ, როცა საქმე გვაქვს უკანონობასთან ხელისუფლების მხრიდან, აქ კანონზე ლაპარაკი საერთოდ ზედმეტია. უპრეცედენტო რამ ხდება, ადამიანს, რომელსაც გადახდილი აქვს გირაო კონკრეტულად ამ საქმისათვის, ამ სისხლის სამართლის ვითომ დანაშაულისათვის, პროკურატურა ხელმეორედ სთხოვს გირაოს გადახდას. ახლა პროკურატურას რამდენჯერაც მოუნდება და ფული შემოაკლდება ბიუჯეტში, ოპოზიციის ლიდერებმა იმდენი გირაო უნდა იხადონ?! ეს კანონთან არანაირ კავშირში არ არის. ეს არის, უბრალოდ, მცდელობა ხელისუფლებისა, რომ...

***– ეს არის პოლიტიკური დევნის იარაღი?***

– ეს არის პოლიტიკური დევნა. ეს არის იარაღი. ვერაფერი სხვა მათ ვერ მოიგონეს. საკუთარ დაგებულ მახეში აიხლართნენ და აღარ იციან, რა ქნან. საქართველო პატარა ქვეყანაა და ყველას გვაქვს ინფორმაცია, რა ხდებოდა „ქართული ოცნების“ ოფისში ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში...

***– რას გულისხმობთ?***

– იმას, თუ როგორი დავა იყო შიგნით იმის თაობაზე, თუ რა უნდა მომხდარიყო ნიკა მელიასთან დაკავშირებით, ეს სარგებლიანი იქნება თუ არა მათთვის. ის ადამიანები, რომლებიც საღად აზროვნებენ, ძალიან კარგად ხვდებიან, რომ მელიას დაკავებით მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ მუხლში დაიხლიან ტყვიას, თუმცა არიან შიგნით ადამიანები, რომლებსაც მეტი წონა აქვთ გუნდში და ისინი ამბობენ, რომ მათთვის პრინციპია მთავარი და ივანიშვილის წასვლის შემდეგ მათ უნდა ანახონ, რომ არიან მაგრები და გადაწყვეტილების მიღებაც შეუძლიათ.

***– ივანიშვილთან გადიოდნენ ამ საკითხზე კონსულტაციას?***

– მე არა მგონია, რომ ივანიშვილი იღებდეს ამ გადაწყვეტილებას. დღეს „ოცნებაში“ მიმდინარეობს კლანებს შორის ბრძოლა. კობახიძის კლანი უფრო ძლიერი იქნება თუ გახარიას კლანი? რომელი კლანი მოუგებს.

***– რადიკალური გადაწყვეტილების მომხრე რომელი კლანია, როგორი ინფორმაცია გაქვთ?***

– პოლიტპატიმრების გათავისუფლებისა და მემორანდუმის გაფორმების დიდი წინააღმდეგი თავიდანვე ირაკლი კობახიძე იყო, რომლის სურვილია, რომ ეს ადამიანები რაც შეიძლება დიდხანს დარჩნენ ციხეში. გავრილოვის ღამის შემოქმედიც ხომ ის არის. სწორედ კობახიძის დამსახურებაა გავრილოვის ღამე. მას რომ რამდენიმე საათით ადრე მიეღო ის გადაწყვეტილება, რომელიც მოგვიანებით მიაღებინეს, ეს ყველაფერი არ მოხდებოდა, არც დღევანდელი მოვლენები იქნებოდა. რა თქმა უნდა, კობახიძე შეეცდება, ეს ყველაფერი ისე გააკეთოს, როგორც თავად სურს.

***– რამდენად ელით სიტუაციის დაძაბვას? სოზარ სუბარი აცხადებს, რომ ნიკა მელია ჩაკეტილია ნაცმოძრაობის ოფისში და სხვა ადამიანების ზურგს ეფარება.***

– პარლამენტის დეპუტატი რომ ხარ, სანამ ტელევიზიით გამოხვალ და განცხადებას გააკეთებ, წინასწარ წაიკითხე მაინც, რა დაგიწერეს, წაკითხვა მაინც შეძელი სწორად. სრული აბდაუბდა მოვისმინეთ. ჩვენ ყველამ გამოვხატეთ ჩვენი პოზიცია და ვთქვით, რომ მაშინ, როცა ადამიანის დაჭერის არანაირი საფუძველი არ არსებობს და შენ მაინც გაიძახი, მე ასე მინდა და ფული უნდა გადაიხადოო, ის უკანონოდ მიიჩნევს და აცხადებს, რომ არ გადაიხდის, შენ მას დაჭერით ემუქრები, ცხადია, მთელი ოპოზიცია დავიცავთ მას, უკლებლივ ყველანი დავდგებით ნიკა მელიას გვერდით. სადაც არ უნდა იყოს ნიკა მელია, რა თქმა უნდა, ვიქნებით მის გვერდით, ოფისში იქნება თუ სახლში. დღეს თუ ხელისუფლებას მივცემთ უფლებას, მსგავსი უკანონობა ჩაიდინოს, რა თქმა უნდა, ხვალ ისინი ყველას სათითაოდ მოგვადგებიან, ისე მოგვიძებნიან მიზეზს და ისე შეგვყრიან ციხეებში, როგორც ორჯერ ორი ოთხია.



***– „ოცნებაში“ აცხადებენ, ნიკა მელია და ნაციონალური მოძრაობა პროვოკაციაზე მიდიან, რადგან მელია პრინციპულად არ აპირებს გირაოს გადახდას.***

– პრინციპულობა რა შუაშია?! არანაირი თანხის გადახდა არ ეკუთვნის ნიკა მელიას. არანაირი კანონი მას არ დაურღვევია. პროკურატურას თუ მოუნდება, ნიკა მელიამ კვირაში ერთხელ იხადოს 50 ათასი, რა უნდა იხადოს?! ეს ასე ვერ მოხდება, გამორიცხულია. აქ არანაირ პროვოკაციაზე არ არის საუბარი, აქ საუბარია იმაზე, რომ ქვეყანას სჭირდება შველა. ქვეყანას კი ოპოზიციური პარტიების ლიდერების დევნითა და მათი დაპატიმრებებით ვერ ეშველება. ხელისუფლების სიმშვიდისთვის ყველანი ციხეში უნდა გაგვიშვან? ასე ვერ მოხდება. ამას არ დაუშვებს ქართველი საზოგადოება. სწორედ ამას ეძღვნებოდა ჩვენი ლეიბორისტული პარტიის ოფისში შეკრება. ჩვენ ყველამ ერთხმად ვთქვით, რომ ვიქნებით მის გვერდით, ამ ბრძოლას აუცილებლად ბოლომდე მივიყვანთ და გავიმარჯვებთ! სუბარებსა და მისნაირებს კი თავად მოუწევთ პასუხისგება ყველა იმ ქმედებაზე, რომლებიც აქამდე ჩაიდინეს და რომლებსაც დღეს და ხვალ ჩაიდენენ. როგორ ჭიკჭიკებენ დღეს „ოცნების“ დეპუტატები, ხომ ხედავთ, თურმე ჩვენ, ოპოზიციას, გვიდგას გვერდით გავრილოვი.

***– დიახ, ვისმენთ შეფასებებს, რომ გავრილოვის განცხადებამ სწორედ ოპოზიციის წისქვილზე დაასხა წყალი და თემა წამოუწია. რას უპასუხებთ ამ განცხადებებს?***

– უბრალოდ, სხვა აღარაფერი დარჩა ხელისუფლებას სათქმელი და ამდენი სისულელიდან თუკი რაიმე შეიძლებოდა, კიდევ მოეგონებინათ, ახლა ეს მოიგონეს. ხომ ყველას ახსოვს, რა მოხდა 20 ივნისის ღამეს, რაზე დაიჭირეს ნიკა მელია, რაზე დაიჭირეს ოქრუაშვილი, რას აპროტესტებდა სრულიად ოპოზიცია. ამის მერე გავრილოვის ოპოზიციასთან კავშირებზე რომ წამოგცდება სიტყვა, საერთოდ რაზე უნდა ვილაპარაკოთ. ფაქტია, რომ ეს ადამიანები ყოველგვარ რეალობას არიან მოწყვეტილი.

***– როგორია ოპოზიციის გეგმები? პარლამენტმა ერთხმად დაუჭირა მხარი მელიასთვის იმუნიტეტის შეჩერების საკითხს. ლეიბორისტული პარტიის ოფისში აქციის თარიღები დაასახელეთ. ხომ არ შეიცვლება რამე ამ კუთხით?***

– ერთხმად ითქვა, რომ ჩვენ ყველანი ვართ ნიკას გვერდით. ყველა ერთად გავაკეთებთ იმას, რაც გასაკეთებელია. არ მივცემთ ხელისუფლებას ნიკა მელიას დაპატიმრების უფლებას. ჩვენ დავაანონსეთ, რომ 25 თებერვალს ფართომასშტაბიან აქციას ჩავატარებდით, თუმცა მოვლენები ისე ვითარდება, რომ შესაძლოა, ეს თარიღები შეიცვალოს და მაქსიმალურად აქეთ გადმოიწიოს. ეს ყველაფერი სულ სხვა სახეს მიიღებს. არ დაუშვას ხელისუფლებამ შეცდომა. მელიას დაპატიმრება ძალიან ძვირად დაუჯდებათ.

# პარლამენტმა ნიკა მელიას იმუნიტეტი მოუხსნა

გუშინ, 16 თებერვალს, პარლამენტმა დეპუტატ ნიკა მელიას სადეპუტატო იმუნიტეტის შეჩერებას მხარი დაუჭირა.

კანონმდებლებმა საკუთარი გადაწყვეტილებით, პროკურატურას თანხმობა მისცეს, მელიას მიმართ აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობის გამოყენებაზე სასამართლოს მიმართოს. შესაბამისი დადგენილება 88 ხმით მიიღეს, რასაც წინ უძღოდა გენერალური პროკურორის შუამდგომლობის განხილვა. 2-მა დეპუტატმა წინააღმდეგ მისცა ხმა.

ნიკა მელია 20 ივნისის საქმეზე ჯგუფური ძალადობის ხელმძღვანელობისა და მასში მონაწილეობისათვის „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის“ 225-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცა და მას სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით 30.000-ლარიანი გირაო შეუფარდა, ასევე ელექტროსამაჯური დაუმაგრდა, რაც მელიამ 31 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ გამართულ აქციაზე პროტესტის ნიშნად მოიხსნა.

აღკვეთის ღონისძიების პირობების დარღვევის გამო მელიას სასამართლომ გირაოს ოდენობა 70 ათას ლარამდე გაუზარდა. შესაბამისად, მას დამატებით 40 ათასი ლარის გადახდა დაეკისრა, რაზეც ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარემ უარი თქვა.




ამჯერად პროკურატურა სასამართლოში მელიასთვის პატიმრობის შეფარდების შუამდგომლობის დაყენებას აპირებს, რისთვისაც საგამოძიებო უწყებას პარლამენტის თანხმობა და მელიასთვის, როგორც დეპუტატისთვის, იმუნიტეტის შეჩერება სჭირდებოდა.

რეგლამენტის თანახმად, პარლამენტის მიერ დეპუტატის დაკავებაზე ან დაპატიმრებაზე თანხმობის მიცემის შემთხვევაში, დაპატიმრებულ პარლამენტის წევრს პარლამენტის დადგენილებით შეუჩერდება უფლებამოსილება დაკავების ან დაპატიმრების პერიოდით.

სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის ან სასამართლოს მიერ გამამართლებელი განაჩენის გამოტანის შემთხვევაში, პარლამენტის წევრს დაპატიმრების ვადა პარლამენტის წევრის უფლებამოსილების საერთო ვადაში ჩაეთვლება და დაპატიმრების დროის შესაბამისი კომპენსაცია მიეცემა.

# ნიკა მელიას დაპატიმრების საკითხს მოსამართლე ნინო ჩახნაშვილი გადაწყვეტს




ნიკა მელიას აღკვეთის ღონისძიების შეცვლის საკითხს მოსამართლე ნინო ჩახნაშვილი განიხილავს. სწორედ მის სახელს უკავშირდება გახმაურებული პოლიტიკური გადაწყვეტილებები, სადაც ასევე პოლიტიკური ლიდერები ან ხელისუფლების ღია ოპონენტები ფიგურირებენ.

„მთავარის“ ცნობით, ჩახნაშვილი სწორედ ის მოსამართლეა, რომელმაც გავრილოვის სისხლიან ღამეს დაშავებული საპროტესტო აქციის მონაწილეები დაზარალებულის სტატუსის გარეშე დატოვა.

გუშინ, 16 თებერვალს, პროკურატურამ საქალაქო სასამართლოს კენჭისყრიდან მალევე მიმართა და აღკვეთის ღონისძიების შეცვლის შუამდგომლობა დაჩქარებული წესით დაარეგისტრირა.

ნინო ჩახნაშვილი იყო ხაზარაძე-ჯაფარიძის საქმის მოსამართლე მაშინ, როდესაც პროკურატურა მათთვის ე.წ. ფულის გათეთრების საქმეზე მილიონიან გირაოს ითხოვდა.

ნინო ჩახნაშვილის სამოსამართლო ბიოგრაფიაშია გიორგი რურუას საქმეც.

მანვე აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობა მიუსაჯა იმ ადამიანს, რომელმაც მიხეილ სააკაშვილის საპრეზიდენტო ბიბლიოთეკას ცეცხლი წაუკიდა.

მოსამართლე ნინო ჩახნაშვილი სასამართლო პროცესს, სავარაუდოდ, დღეს, 17 თებერვალს, დღის განმავლობაში ჩანიშნავს.

# იან კელი: „ერთპარტიული მმართველობის მზარდი აჩრდილი აედევნა საქართველოს“



საქართველოში აშშ-ის ყოფილი ელჩი იან კელი ნიკა მელიასთვის სადეპუტატო იმუნიტეტის შეჩერებას ეხმაურება.

„ერთპარტიული მმართველობის მზარდი აჩრდილი აედევნა საქართველოს“, – წერს იან კელი „ტვიტერზე“ და თან ინფორმაციას აზიარებს, სადაც ნიკა მელიასთვის პარლამენტის მიერ იმუნიტეტის შეჩერებაზეა საუბარი.

ამ თემას იან კელი კიდევ ერთ პოსტს უძღვნის. იგი აზიარებს სახალხო დამცველის განცხადებას, სადაც ომბუდსმენი მოუწოდებს პარლამენტს, არ გასცეს თანხმობა ნიკა მელიას მიმართ პატიმრობის გამოყენებასთან დაკავშირებით, შემდეგი ტექსტით: „პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს პარლამენტს, რომელიც წარმოადგენს ქართველი ხალხის ნებას. მთავრობამ უნდა ჰკითხოს საკუთარ თავს, ამ ნაბიჯით მიიღწევა თუ არა ეს მიზანი“.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ოცნება“ სრულ აბსურდშია. მელიას დევნით მან ოპოზიციას საქმე გაუკეთა“

## გია ხუხაშვილი: „ოპოზიციას ხელისუფლების ძალისმიერი მეთოდებით ჩამოშლა გაუჭირდება“

იაგო ნაცვლიშვილი

88 ხმით პარლამენტმა ნიკა მელიას იმუნიტეტი მოუხსნა, რაც იმას ნიშნავს, რომ ახლა სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს, დაიჭერენ თუ არა მთავარი ოპოზიციური პარტიის თავმჯდომარეს.

რა აჩვენა კიდევ ერთხელ პარლამენტის გადაწყვეტილებამ? რა პროცესებს მოიტანს ეს სამომავლოდ და ხომ არ გადაინაცვლებს პოლიტიკური დუღილის ტემპერატურა ქუჩაში? – ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი **გია ხუხაშვილი** საუბრობს,

***– პარლამენტმა მოუხსნა სადეპუტატო იმუნიტეტი ნიკა მელიას. რა აჩვენა ამან და სადამდე მიდის ხელისუფლება?***

– ძალიან სამწუხარო საყურებელია და კომიკურობის ელემენტიც არის ამაში. მთელი დღე ვუყურებდით, როგორ ცდილობდა ხელისუფლება, გავრილოვი ოპოზიციისთვის ჩაედო. ძალიან სასაცილო საყურებელი იყო ეს ყველაფერი. შესაძლოა, მე გავიზიარო ის აზრი (იგულისხმება გავრილოვის „ტვ პირველისთვის“ მიცემული ინტერვიუ), რომ გავრილოვთან სპეციალურად შედგა ზარი, მაგრამ არა იმისთვის, რომ გავრილოვს ის ეთქვა, რაც ოპოზიციას აწყობდა, არამედ, რაც მას სურდა, ის ეთქვა. პრობლემას სად გავექცევით? ფაქტია, რომ გავრილოვის გამო ისჯება მელია დღეს და ამით ძალიან კმაყოფილია გავრილოვი. სად გავექცევით ამას?

ხელისუფლების ქმედებებს რაც შეეხება, მე შემიძლია გითხრათ, რომ ოპოზიციას შეუქმნეს დღის წესრიგი, რომელიც მათ არ ჰქონდათ. სწორ ადგილზე „გაიჩალიჩეს“.

***– ოპოზიციის საქმე გააკეთეს?***

– მე ვფიქრობ, რომ დიახ, ოპოზიციის საქმე გააკეთეს. მათ შეიყვანეს თავიანთი თავი იმ ტიპის ჩიხში, როდესაც უკვე კარგი გამოსავალი აღარ ჰქონდათ – მისცემდნენ სანქციას დაჭერაზე, ვაი, არ მისცემდნენ სანქციას, ვუი. ყველაზე სასაცილო ის არის, რომ კანონზე აპელირებენ მაშინ, როდესაც ამ ადამიანის განცხადება უდევთ დიდი ხანია და კანონდარღვევით არ უკმაყოფილებდნენ. ამ კაცს დეპუტატობაზე უარი აქვს ნათქვამი და ეს კანონის დარღვევით არ იქნა დაკმაყოფილებული.

ეს რომ გაეკეთებინათ, სულ არ დასჭირდებოდათ იმუნიტეტის მოხსნის პროცედურა ანუ სულ აბსურდში არიან გადავარდნილი, იმიტომ, რომ მელიას თვეზე მეტია, შეტანილი აქვს პარლამენტში განცხადება სადეპუტატო იმუნიტეტის მოხსნაზე, ითხოვდა, გამათავისუფლეთო და კანონდარღვევით ეუბნებოდნენ, არ გაგათავისუფლებთო, ახლა კი კანონის სახელით ეუბნებიან, არა, ჩვენ უნდა გაგაგდოთო. ამაზე რა კომენტარი უნდა გავაკეთო.



***– უკვე მეორედ მოუხსნეს მელიას იმუნიტეტი და ამას იმიტომაც ხომ არ აკეთებენ, ისე ხომ არ გამოდიოდა, რომ ჰაერში რჩებოდა ჩამოკიდებული, რასაც ამდენი ხანია ამტკიცებენ გავრილოვის ღამეზე, რომ მაშინ იყო სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა?***

– ძალიან რთული მდგომარეობა აქვთ. რა კითხვასაც თქვენ სვამთ, ამ მხრივაც გაიუარესეს მდგომარეობა და გეტყვით, რატომაც. ასეთი სახელმწიფო გადატრიალების ე.წ. საქმეები „იკერება“ არა იმისათვის, რომ ეს ეტაპი დასრულდეს, არამედ იმისათვის, რომ თავის პოლიტიკურ ამოცანას ასრულებს. აიკინძება საქმე, დაიკიდება ჰაერში და მერე ის გამოყენებულია პოლიტიკურ ოპონენტებზე პრესინგის მიზნით ან ვაჭრობისთვის.

ასეა ეს და რამდენიმე საქმეა აღძრული სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის მუხლით. ეს ხომ არ არის პირველი საქმე. იქ საბურავების საქმე იყო, იყო სხვა საქმეებიც. სულ 4 საქმეა აღძრული და ოთხივე თაროზე დევს, არც ერთი არ არის დასრულებული. ამ საქმეების დასრულება არც არის ამოცანა, იმიტომ, რომ ვერც სრულდება. სრული აბსურდია, რა გადატრიალებაზეა საუბარი. ხალხმა მშვენივრად იცის, რაც ხდებოდა 20 ივნისის ღამეს.

კი, იქ იყო რაღაც ტიპის დანაშაული, მაგრამ ამისთვის გადატრიალების დარქმევა ღრმად არასერიოზულია. მე ვფიქრობ, რომ რაღაც ადმინისტრაციული სამართალწარმოების ფარგლებში სავსებით ეტეოდა ეს ყველაფერი, მით უმეტეს, რომ მაშინ თვითონ ხელისუფლებამაც აიღო პოლიტიკური პასუხისმგებლობა და გადადგა პარლამენტის მაშინდელი თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე.

ასე რომ, გავრილოვს სრული უფლება აქვს, კმაყოფილი იყოს.

***– რა იქნება სამომავლოდ და რა პროცესებს მოიტანს ეს ყველაფერი?***

– პროცესი ჯერ არ არის დასრულებული. ხელისუფლებაში ყველა ბრიყვი ხომ არ არის. „ქართული ოცნება“ იქცევა გადამწიფებული თინეიჯერივით, რომელსაც ცხოვრებაში არაფერი გაუკეთებია და მუქთად მიიღო მამისგან ქონება სამართავად. მამამ უთხრა, ცოტა ხანს დავისვენებ და შენ მართეო. აზრზე არ არის, რა გააკეთოს და მამას უმტკიცებს, რა მაგარი ბიჭია.

ეს ყველაზე საშიში მდგომარეობაა და ძალიან ცუდი კომბინაციაა, როდესაც გაქვს დიდი ამბიციები და შინაგანად სუსტი და არაფრის მაქნისი ხარ. ეს არის ისეთი კომბინაცია, რომელიც მიგიყვანს ნებისმიერ აფექტურ და არაადეკვატურ გადაწყვეტილებამდე. შესაბამისად, მე პროგნოზს ვერ გავაკეთებ, რა მოხდება.

არის იმის ალბათობა, რომ უკვე პროკურატურისა და სასამართლოს დონეზე გაფუჭდეს მათი გადაწყვეტილება ანუ მელია მაინც არ დაიჭირონ. პასუხისმგებლობა მოიხსნა პარლამენტმა, რომ თითქოს უნდა აღსრულდეს კანონი. კანონზე ისე აპელირებენ, თითქოს ინსტიტუციებს პატივს სცემენ. შე კაი ადამიანო, 51 დეპუტატს დაწერილი აქვს განცხადება და გეუბნება, გამიშვიო და არ უშვებ კანონის დარღვევით. ახლა გაახსენდათ კანონი?! ვერ გავიგე.

***– ხომ არ ფიქრობთ, რომ მელიას საქმე პოლიტიკური დუღილის ტემპერატურას ასწევს და მას უკვე ქუჩაში გადაიტანს?***

– კი ბატონო, შესაძლოა, ქუჩაში გადაიტანოს, მაგრამ მე ქუჩას ვერ ვუყურებ პოლიტიკურად პერსპექტიულად. ქუჩა რყევებს უკავშირდება და სახელმწიფოებრივად კარგი არ არის, მაგრამ, ქუჩაში რომ რაღაც ფუნდამენტური პროცესის ინიცირება მოხდეს, ამის მოლოდინი არ მაქვს, თუმცა საშუალოვადიან პერიოდში ხელისუფლება წაგებულია.

იმას, რომ ოპოზიცია კუნთების თამაშითა და ძალისმიერი მეთოდებით შეძლებს ხელისუფლების ჩამოშლას, სკეპტიკურად ვუყურებ, იმიტომ, რომ ადამიანები სხვა პრობლემებით არიან დატვირთული, იმისდა მიუხედავად, ხელისუფლება მოსწონთ თუ არა. ჩვენ ადრეც გვისაუბრია იმაზე, რომ ქვეყანაში ორი შიში დადის, სიკვდილისა და შიმშილის შიში.

კი ბატონო, პოლიტიკური დუღილი და დაპირისპირება გასაგებია, მაგრამ, ჯერ ერთი, ეს არ არის დომინანტური თემა ხალხისთვის და მეორე – დაიღალნენ მუდმივი ჭიდაობით.

***– შიმშილის თემას რომ მიებას ეს, ამ შესაძლებლობას ვერ ხედავთ?***

– საბოლოო ჯამში ასეც იქნება. თემები გადაებმება, მაგრამ მე ვამბობ იმას, რომ საკუთრივ მელიას თემით დიდი სახელმწიფოებრივი პროცესის დაწყებაში ეჭვი მეპარება, თუმცა ძალიან სერიოზული ფაქტორი იქნება, როგორც „ქართული ოცნების“ დამაზიანებელი, გამომდინარე იქიდან, რომ დასავლეთსაც სხვა გზა არ დარჩება, რომ მელია პოლიტპატიმრად გააფორმოს. ეს კი იქნება.

ეს არის ერთ-ერთი კომპონენტი იმ პროცესისა, რომელსაც ჰქვია „ქართული ოცნების“ საბოლოო დეგრადაცია.

# ნიკა მელია: „ქართული ოცნების“ დეპუტატმა ვასილ ჩიგოგიძემ ექვსჯერ დამირეკა“

## „მპირდებოდა, რომ ჩემ წინააღმდეგ ხმას არ მისცემდა“

ნიკა მელიას განცხადებით, მას 15 თებერვალს „ქართული ოცნების“ დეპუტატი ვასილ ჩიგოგიძე დაუკავშირდა და შეხვედრა სთხოვა.

როგორც მელიამ განაცხადა, ვასილ ჩიგოგიძე მას ჰპირდებოდა, რომ კენჭისყრაზე მისი იმუნიტეტის შეჩერებას ხმას არ მისცემდა.

ამასთან, როგორც მელია აცხადებს, ვასილ ჩიგოგიძეს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში ნაციონალური მოძრაობის რიგებიდან უნდა ეყარა კენჭი, თუმცა გადაწყვეტილება შეცვალა.

– გუშინ „ქართული ოცნების“ ერთი მოქმედი დეპუტატი მეხმიანებოდა, შეხვედრას მთხოვდა. ძალიან ცუდი საუბარი მქონდა და ვუთხარი, შენთან სალაპარაკო არაფერი არ მაქვს, ხვალ ჩატარდება კენჭისყრა. იქნება შენი ხმა დაფიქსირებული ჩემი დაჭერის სასარგებლოდ და დანარჩენს მერე მოგახსენებ, არ იქნება ასე და დაგირეკავ, მე თვითონ გნახავ-მეთქი, – განაცხადა ნიკა მელიამ ტვ პირველის ეთერში.

მისი თქმით, დეპუტატმა ვასილ ჩიგოგიძემ მას ექვსჯერ დაურეკა.

– დღეს ისეთი მისცა ხმა, მე მგონი, ღილაკიც ჩაამტვრია. ვასილ ჩიგოგიძეს რომ ჰკითხო, ღირსეული ადამიანია. როდესაც უკადრებელს იკადრებ, ყელში ამოუყვან ხალხს და შეცდომას შეცდომაზე დაუშვებ, მერე ნათელის მოფენას უნდა ელოდო.

ნაციონალური მოძრაობის რიგებიდან აპირებდა კენჭისყრას... ბატონი ჩიგოგიძე გავიცანი სასამართლოში. ორივე ვიყავით ბრალდებული „ქართუ ბანკის“ საქმეზე. ამ საქმის ფარგლებში მე გამომაგდეს პარლამენტიდან, ოფიციალურად, დამაჯარიმეს. იმდენად აბსურდული საქმე იყო, რომ უფლებამოსილების გადამეტების მუხლითაც ვერ გამასამართლეს, მაგრამ ეს ადამიანი დღეს არის იქ, სადაც არის.

ეს ადამიანი გურიაში კენჭს იყრიდა ნაციონალური მოძრაობის რიგებიდან, შემდეგ სამი დღე ტელეფონს არ პასუხობდა, გავიხედე და დაჯდა და წარადგინეს „ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატად.

ამ არჩევნებზე შეთანხმებული იყო ყველაფერი. მე ვიყავი მოლაპარაკებაზე მასთან, მე გავუწიე პარტიაში რეკომენდაცია, დაიწყო საარჩევნო კამპანია, დრუზა თავი და წავიდა „ქართულ ოცნებაში“.

ამ ადამიანს რა უნდა ველაპარაკო? გუშინ მეუბნება, მე თითს არ მივაჭერ და დაგიმტკიცებ, რომ მართალი ვარო. სიმართლე გითხრათ, ჩემთვის ვიფიქრე, ეს ადამიანი შეიძლება გააკეთებს ამას და ვაპირებდი კიდეც საჯაროდ იმის თქმას, ყოჩაღ ვასილ ჩიგოგიძეს, რომ თითი არ მიაჭირა-მეთქი, მაგრამ კი ვნახეთ, რა გააკეთა.

მორჩილებაცაა და მორჩილებაც, მონობაცაა და მონობაც, – განაცხადა ნიკა მელიამ.

# „მეც ვაპირებდი პარლამენტში შესვლას და მაშინ მეც დამიჭირონ“

## მურმან დუმბაძე: „ოცნებას“ პარლამენტში ასლან აბაშიძის გენერალური პროკურორი რესან კონცელიძე უზის“

ნათია ხურცილავა

**ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი მურმან დუმბაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო მურმან, ნიკა მელია თუ დააკავეს, შეიძლება, ეს ახალი პოლიტიკური პროცესების საფუძველი გახდეს?***

– პროცესები სწორედ აქეთკენ მიდის. თუ ნიკა მელიას დააკავებენ და კამერაში ჩააგდებენ, ამის შემდეგ რა ჰგონია ხელისუფლებას, რომ პოლიტიკური კრიზისი განიმუხტება, კანონის უზენაესობის განცდა ექნება ყველა მოქალაქეს, მოქალაქეები დამშვიდდებიან თუ პარლამენტში შევა ყველა ოპოზიციონერი დეპუტატი, მრავალპარტიული პარლამენტი დაიწყებს ქვეყნის საკეთილდღეოდ მუშაობას?! თუ ხელისუფლება ფიქრობს, რომ ნიკა მელიას დაკავებით საქართველოს მოქალაქეებს გადაუჭრის, მოუგვარებს იმ პრობლემებს, რომლებიც ყოველდღე ღრმავდება, ძალიან ცდება.

ნიკა მელიას დაკავებით უმნიშვნელო პრობლემასაც კი ვერ აგვარებს ხელისუფლება, პირიქით, ამ პრობლემებს ბევრად აღრმავებს და ართულებს. ხელისუფლება ვაბანკზე სრულიად შეგნებულად წავიდა.



***– რატომ, რაში აწყობს?***

– 31 ოქტომბერს ნიკა მელიამ, როგორც მაჟორიტარმა გლდანის ოლქში, გაიმარჯვა. ცესკოს მიერ წარმოდგენილი ოქმებითაც ეს დასტურდება. მან დაამარცხა „ოცნების“ კანდიდატი კობიაშვილი, რაც ვერ აპატიეს ნიკა მელიას. ეს ბოღმა ახრჩობს „ქართულ ოცნებას“, მის ხელმძღვანელობას.

2019 წლის 20 ივნისიდან დღემდე წელიწადი და რვა თვეა გასული. ამდენი ხნის განმავლობაში, რა, ვერ მოახერხეს მელიას დაკავება. თუ მელია დასაჭერია, მაშინ ასევე დასაჭერია ის ასეულობით ადამიანი, რომლებიც იმ დროს პარლამენტის შენობასთან იმყოფებოდნენ. მე 2007 წლის 7 ნოემბერს პარლამენტში მინდოდა შესვლა და ამის მცდელობაც მქონდა, რათა მიხეილ სააკაშვილი ჩამომეშორებინა ხელისუფლებიდან. 2011 წლის 26 მაისსაც მქონდა იგივე მცდელობა და მინდოდა მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებიდან გამოგდება. რატომ არ მიჭერენ?!

***– მელიას დააკავებენ?***

– დააკავებენ თუ არ დააკავებენ, ეს მეათეხარისხოვანია. აქ მთავარი პროცესია. მთავარია ის, რომ ხელისუფლება პოლიტიკურ ანგარიშსწორებას ახორციელებს ოპოზიციური პარტიის ლიდერის წინააღმდეგ.

***– ხელისუფლება კანონსა და მის უზენაესობაზე საუბრობს.***

– გეკითხებით, კანონი წელიწადი და რვა თვის მერე უნდა აღსრულდეს?! გირაო ხომ აქვს გადახდილი. ერთსა და იმავე დანაშაულზე ორჯერ გაასამართლო ადამიანი, ასეთ რამეს საქართველოს კონსტიტუცია არ ცნობს. ამიტომ არის ეს საქმე თავიდან ბოლომდე პოლიტიკურად მოტივირებული, პოლიტიკური შეკვეთა. ნიკა მელიას დააკავებენ თუ არ დააკავებენ, ეს არის პოლიტიკის ნაწილი.

პარლამენტში დღეს ზის ადამიანი, რომელიც ასლან აბაშიძის გენერალური პროკურორი იყო. რესან კონცელიძეზე ვსაუბრობ. ასანიძის საქმეზე ამ კაცს, მას შემდეგ, რაც სტრასბურის ადამიანის უფლებათა სასამართლომ გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა, იცით, რა აქვს ნათქვამი პირდაპირ ეთერში? – მაინც არ გავათავისუფლებო! ასეთი კაცი უზის დღეს „ქართულ ოცნებას“ პარლამენტში. ამ რესან კონცელიძეს, რომელმაც მხარი დაუჭირა ნიკა მელიასთვის იმუნიტეტის მოხსნას, რატომ უნდა ვენდო? ამიტომ ამ გადაწყვეტილებას ჩვენ შევეწინააღმდეგებით.

***– „ოცნება“ ამბობს, რომ მიხეილ სააკაშვილმა გაწირა ნიკა მელია ციხისთვის.***

– მიხეილ სააკაშვილს ყველაზე დიდი ავტორიტეტი აქვს მოქალაქეებში. ვერც ნიკა მელია და ვერც სხვა ვერ უგებს მას რეიტინგში. ამიტომ სააკაშვილს არ სჭირდება ვინმეს ციხეში ჩასმა, რომ მას რეიტინგი მოემატოს.

ნიკა მელიას წინააღმდეგ ამ ხელისუფლებამ პოლიტიკური ანგარიშსწორების გადაწყვეტილება მიიღო. ასეთი პოლიტიკური პროცესების შედეგი კი ძალიან ხშირად ხელისუფლების ცვლილებაა, მაგრამ ასეთ დროს ხელისუფლებები ძალიან ცუდად იცვლებიან. ამაზე უნდა დაფიქრდეს „ქართული ოცნება“.



**შევიძენ**

**ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.**

**ტელ.: 598-43-98-57**

# „ქართულ ოცნებას“ ძალიან გაუჭირდება“

## გიგა ბუკია: „ლელოსა“ და „სტრატეგია აღმაშენებელს“ მესამე პოლიტიკური ცენტრი არ გამოუვათ“

მარიამ მჭედლიშვილი

**საქართველოში შექმნილი რთული პოლიტიკური ვითარება კიდევ უფრო აირია ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე ნიკა მელიას გარშემო განვითარებული მოვლენებით. „ახალი თაობა“ ამ და სხვა საკითხებზე ესაუბრა კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთ ლიდერს, ყოფილ დეპუტატ გიგა ბუკიას.**



***– პარლამენტში ნიკა მელიასთვის სადეპუტატო იმუნიტეტის მოხსნის საკითხის განხილვა პარლამენტის გარეთ ხმაურიანი პროცესების ფონზე წარიმართა. როგორ აფასებთ მოვლენებს?***

– ოპოზიცია მიზნის მისაღწევად სხვადასხვა ხერხს მიმართავს. ნიკა მელიამ უარი განაცხადა გირაოს გადახდაზე, რასაც მოჰყვა შემდგომი პროცესები. ყველაფერი დაიწყო არჩევნების შემდეგ. ნაცმოძრაობა ნიკა მელიასთან ერთად და სხვა ოპოზიცია არ შევიდა პარლამენტში, დარჩა ქუჩაში. ამით ოპოზიციამ არგუმენტაცია დაკარგა. ჯობდა, ეს პოლიტიკოსები შესულიყვნენ პარლამენტში, მონაწილეობა მიეღოთ დროებითი საგამოძიებო კომისიის მუშაობაში და წარედგინათ მტკიცებულებები არჩევნებზე მომხდარი დარღვევების თაობაზე. ამიტომ ვამბობ, რომ საარჩევნო თემაზე ოპოზიცია არგუმენტებს შეელია. არჩევნები დავარცხნილად არ ჩატარებულა, მაგრამ ოპოზიცია ქუჩაში დარჩენით წამგებიან მდგომარეობაში აღმოჩნდა და პოზიციებისა და მტკიცებულებების ჭიდილის მაგივრად ეძებს რადიკალურ თემებს.

***– ნიკა მელიასაც გულისხმობთ?***

– ცხადია. მოიძებნა კიდევ ერთი საბაბი და მიზეზი ვითარების რადიკალიზაციისთვის. ნიკა მელიას ამბავი მოთელვაა სააკაშვილის გეგმების განხორციელების წინ. არა მგონია, ეს გეგმები გამოუვიდეთ, მაგრამ სააკაშვილი არ ჩერდება და თავისას ცდილობს. სააკაშვილმა საქართველოში ვერ მოიგო არჩევნები. მან ხალხის კრიტიკული მასაც ვერ გამოიყვანა. ის ეძებს დესტრუქციის გზებს. საზოგადოებისთვის ნიკა მელიას შემთხვევა მძიმე სანახავია – დეპუტატი აცხადებს, რომ პრინციპულად არ დაიცავს კანონს. თუ ამას აცხადებს კანონმდებელი, სხვა მოქალაქემ რა ქნას?! ისევ ვუყურებთ „ქართული ოცნებისა“ და ნაციონალური მოძრაობის დაპირისპირებას. „ქართული ოცნებისთვის“ მძიმე წარსულის მქონე ნაციონალური მოძრაობა და სააკაშვილის რეჟიმი სანატრელი ოპოზიციაა. ამიტომ, რაც ხდება, ყველაფერი „ქართული ოცნების“ ბრალია.

***– სააკაშვილზე საუბრობთ. ისევ ის განსაზღვრავს დღის წესრიგს?***

– საუბედუროდ, სააკაშვილი ისევ მთავარი გმირია ქართულ პოლიტიკაში. ხალხის აბსოლუტურ უმრავლესობას მისი დაბრუნების ეშინია და „ოცნებას“ ხმას მხოლოდ ამის გამო აძლევს. უკრაინაში სააკაშვილმა ვერანაირ წარმატებას ვერ მიაღწია. უკრაინელებს მისი არ სჯერათ. მაქვს ინფორმაცია, რომ სააკაშვილს აღარც უკრაინის პრეზიდენტის ნდობა აქვს.

***– ცოტა ხნის წინ უკრაინელები აღაშფოთა იმან, რომ სააკაშვილი ჩართვისას ლაპარაკობდა კორუფციაზე. ამ დროს თვითონ იჯდა საკუთარ ახალ სავარძელში, რომელიც 14.000 დოლარი ღირს.***

– სააკაშვილისთვის სულ ერთია, რომელ ქვეყანაში იქნება. მას აზიური გეგმები აქვს, ამასთან, არ ივიწყებს საქართველოს. ჩვენ უცნაურ რეალობაში ვცხოვრობთ – ტელევიზიები სისტემატურად გვაჩვენებენ „ქართული ოცნებისა“ და ნაციონალური მოძრაობის შეჯახებას, სხვა საკითხები საინტერესო აღარ არის.

***– ხალხს სხვა პრობლემები უფრო აინტერესებს.***

– მეც იმას ვამბობ, რომ ნამდვილ პრობლემებსა და გამოწვევებზე კი არ მიმდინარეობს მსჯელობა, ამ იწილობიწილოს გვაყურებინებენ.

***– მესამე ძალაზეც საუბრობენ. გავრცელებული ინფორმაციით, „ლელო“, „სტრატეგია აღმაშენებელი“, ზურაბ ჯაფარიძე და ელენე ხოშტარია აპირებენ მესამე პოლიტიკური ცენტრის დაფუძნებას. „ევროპულ საქართველოს“ მიიღებენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პარტიის ყველა ლიდერი წავა.***

– ხალხის უმრავლესობა ელოდება ძალას, რომელიც არც „ქართულ ოცნებასთან“ არის და არც ნაციონალურ მოძრაობასთან. მესამე ძალა რეიტინგული უნდა იყოს. ამ პარტიებიდან, რომლებიც დაასახელეთ, 3%-ზე მეტი რეიტინგი არც ერთს არა აქვს. არჩევნებზე ასეთი შედეგი ჰქონდათ, თანაც, ისინი შემჩნეული არიან ნაციონალურ მოძრაობასთან ურთიერთობაში, ერთობლივ ბოიკოტში. ისინი არიან ნაცმოძრაობის გარშემო შექმნილი პარტიები. მათი მხრიდან მესამე ცენტრზე ლაპარაკი ძალიან ხმამაღალი განცხადებებია. ეს არის მათი სურვილი. სხვა პარტიებიც ეძახდნენ თავიანთ თავს მესამე ძალას, მაგრამ ესეც ტყუილი იყო. ალტერნატივა აუცილებელია, მაგრამ ჯერ არ ჩანს. ფაქტია, რომ „ქართული ოცნება“ ნაციონალების დახმარებითა და ხალხის მხრიდან ნაცმოძრაობის დაბრუნების შიშით ინარჩუნებს ძალაუფლებას.

***– პარტიების გამოქვეყნებული რეიტინგების შეიძლება არ გჯერათ, მაგრამ, ალბათ, რეალობასთან ახლოსაა ამ ორი პარტიის რეიტინგის ვარდნა. ენდიაიას ბოლო კვლევით, ნაცმოძრაობას 5% აქვს, „ქართულ ოცნებას“ – 31%.***

– ჩვენ, კონსერვატორები, ამომრჩეველს მოვუწოდებდით, ყურადღება მიექცია პარტიების იდეოლოგიისათვის. პარტიების უმრავლესობას იდეოლოგია საერთოდ არ გააჩნია. ალბათ, ამ პარტიების რეიტინგი მცირდება. სამწუხაროდ, გრძელდება პოლარიზაცია და ხალხი ნაციონალებს ისევ „ქართულ ოცნებას“ ამჯობინებს.

***– ნაცმოძრაობის მომხრეებისთვის სააკაშვილი ისევ შეუცვლელი ლიდერია?***

– დიახ. სანამ ბიძინა ივანიშვილი გავიდოდა პოლიტიკიდან, ისიც შეუცვლელი ლიდერი იყო. სანამ სააკაშვილი ისევ მონაწილეობს პოლიტიკაში, ნაცმოძრაობაში სხვა ლიდერები ვერ დაწინაურდებიან, თუნდაც პარტიის თავმჯდომარეები გახდნენ.

***– „ევროპულ საქართველოში“ მიმდინარე მოვლენებზე რას იტყვით?***

– პარტია იშლება იდეოლოგიური ერთობის უქონლობის გამო. ამ პარტიის ზოგიერთ წევრს კი აქვს რაღაც იდეოლოგია (ლიბერტარიანულთან მიახლოებული), მაგრამ ერთად ამ ადამიანებს იდეოლოგიური ერთიანობა არა აქვთ. ეს პარტია შეიქმნა მხოლოდ იმის გამო, რომ შესულიყო პარლამენტში. „ევროპული საქართველო“ იმედოვნებდა, რომ ნაციონალურ მოძრაობას მოაკლებდა ამომრჩეველს და მინიმუმ 10%-ს აიღებდა. პარტიის ლიდერებმა კატასტროფულად მცირე მხარდაჭერა მიიღეს. არადა, გამოკითხვებით გვაჯერებდნენ, რომ დავით ბაქრაძეს გამოკითხულთა 60% უჭერდა მხარს. ის ოპოზიცია, რომელიც ხშირად შალვა ნათელაშვილის პარტიის ოფისში იკრიბება, ნელ-ნელა იშლება. ეს პროცესი გაგრძელდება.

***– არჩევნების წინ რა ცვლილებებია მოსალოდნელი?***

– უახლოესი არჩევნები ადგილობრივია. ეს არის სპეციფიკური არჩევნები და აქ იდეოლოგია ნაკლებ როლს ასრულებს. აი, მომავალი საპარლამენტო არჩევნები კი გამოაჩენს ამომრჩევლის გემოვნებას. დარწმუნებული ვარ, იდეოლოგიას მეტი ყურადღება მიექცევა. ადამიანები არ აჰყვებიან ემოციებს და არჩევანს გონივრულად გააკეთებენ. ხალხი მიხვდება, რომ პოლიტიკოსი შეიძლება ყოველდღე რამდენიმე არხზე იყოს ყურადღების ცენტრში, მაგრამ არჩევნები პირწმინდად წააგოს.

***– „ქართულ ოცნებაში“ რა პროცესები წავა?***

– „ქართულ ოცნებას“ ძალიან გაუჭირდება. ჯერ ერთი, იდეოლოგია ამათაც სულ ამოგდებული აქვთ ცხოვრებიდან. ახლა მოაკლდათ ლიდერი და მედიატორი, თანაც საპარლამენტო რესპუბლიკაში მარტო მართვა შეუძლებელია. საპარლამენტო რესპუბლიკებში ყველგან კოალიციური მმართველობაა. „ქართულ ოცნებას“ კი პასუხისმგებლობისა და ძალაუფლების განაწილებაც კი არავისთან უნდა. ასე მარტოობაში თუ მიაღწიეს 2024 წლამდე, მერე მაქსიმალური რესურსების მობილიზებაც ვერ უშველით.

# „სააკაშვილს უკრაინიდან რუსეთში გაქცევა მოუწევს“

## ვახტანგ მაისაია: „საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი რუსეთის რბილი ძალის გამტარებელია“

გულიკო ბალაძე

**ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პატივისცემას გამოხატავს საქართველოში უკრაინის ელჩის, დოლგოვის, მიმართ და ამბობს, რომ საქართველოს დიდი მეგობრისთვის კორუმპირებულის წოდება მხოლოდ რუსეთის რბილი ძალის მატარებელ მიხეილ სააკაშვილს შეეძლო.**

**ვახტანგ მაისაია:**

– უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრომ შემთხვევით არ ახსენა რბილი ძალა და შემთხვევით არ დაუკავშირა მიხეილ სააკაშვილს.

***– როგორ?***

– ვლადიმერ ზელენსკიმ უკრაინის უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს სხდომაზე პრორუსული რბილი ძალის ინტერესების გამტარებელი სამი ტელევიზია – „112 უკრაინა“, „ზიკი“ და „ნიუსვან“ დახურა იმის გამო, რომ აღნიშნული ტელევიზიებიდან მოდიოდა რუსული პროპაგანდა.

მისი მფლობელი უკრაინის რადას პრორუსული ფრაქციის წევრი იყო და მის მფლობელობაში მყოფი ტელევიზიები იყვნენ რუსული რბილი ძალის რუპორები.

სააკაშვილის განცხადება, რომ უკრაინა დაკარგავდა მარიოპულსა და ხერსონს და გახდებოდა რუსული დარტყმის ობიექტი, ემთხვევა ოკუპირებული ყირიმის ადგილობრივი პარლამენტის კომიტეტის თავმჯდომარის სიტყვებს.

მან სააკაშვილის გამოსვლის მეორე დღეს ზუსტად იგივე სიტყვები გაიმეორა, რაც სააკაშვილმა წინა დღეს თქვა. ისე გამოვიდა, რომ სააკაშვილი რუსული ინტერესების გამტარებელი ძალის აპოლოგეტად იქცა. უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრომ სწორედ ეს იგულისხმა და სააკაშვილის ქცევას აბსოლუტურად სწორი დეფინიცია გაუკეთა.

ზელენსკის მთავრობა უკვე ხვდება, რომ სააკაშვილი არის ტროას ცხენი, რომელიც შეუშვეს უკრაინაში. პოროშენკოს ხელისუფლებამ ამიტომ მოახდინა მისი ნეიტრალიზაცია, ამიტომ გააძევა და უკრაინის პოლიტიკას ჩამოაცილა. ზელენსკიმ კი სააკაშვილი დააბრუნა უკრაინაში და მას ყველაფერი ბუმერანგივით შემოუბრუნდა.



***– ზელენსკიმ სააკაშვილს მოქალაქეობა პუტინის მოწოდებით დაუბრუნა.***

– ესეც დამატებითი არგუმენტია. სააკაშვილი უკვე გადაიქცა რუსეთის რბილი ძალის წარმომადგენლად. ის ქვეყანა, რომელიც ებრძვის უკრაინას, რუსეთი ფედერაციაა. როდესაც იგორ დოლგოვს, რომელიც საქართველოს მეგობარი და დიდი გულშემატკივარია, ცილისმწამებლურ იარლიყებს აკერებ, ვისი ინტერესების დამცველი ხარ, გასაგებია.

***– სააკაშვილის პარტია ნაცმოძრაობაც არის რუსეთის რბილი ძალის წარმომადგენელი საქართველოში?***

– თუ ისინი გაიზიარებენ სააკაშვილის რუსეთთან თანამშრომლობას, მაშინ ისინიც იქნებიან ასოცირებული რუსულ რბილ ძალასთან. თითქოს მელიამ დაიწყო პარტიის მოდერნიზაცია, მაგრამ, თუ ისინი დარჩებიან სააკაშვილის ერთგული, ბუნებრივია, მათზეც გავრცელდება ანალოგიური სტატუსი.

***– სააკაშვილს რაში სჭირდება რუსეთთან ასოცირება ან რაში შეიძლება ჰყავდეს გამოჭერილი პუტინს?***

– მიხეილ სააკაშვილი საბჭოთა პერიოდში სასაზღვრო ჯარების ოფიცერი იყო. მან დაამთავრა კიევის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობებისა და სამართლის ფაკულტეტი. მისი კადრები მიდიოდნენ სუკში, რადგან ის საბჭოთა კავშირის სპეცსამსახურების სამჭედლო იყო.

სასაზღვრო ჯარები პირდაპირ სუკს ემორჩილებოდა. მისი ოფიცერი და ჯარისკაცი, ეფრეიტორობიდან დაწყებული, სუკის დაქვემდებარებაში იყო, ანუ სააკაშვილი სუკის დაქვემდებარებაში გახლდათ. სუკის ყოფილი ოფიცერი არ არსებობს. ასე რომ, როცა რუსეთს დასჭირდა მისი ამოქმედება და გამოყენება, მაშინ გამოიყენა, მით უმეტეს, სააკაშვილისა და რუსეთის ინტერესები ერთმანეთს დაემთხვა. სააკაშვილი დარჩა დასავლეთისაგან მიტოვებული. ყველამ გაშიფრა, ვინ იყო და რა იყო. ბარაკ ობამას ადმინისტრაცია ძალიან კარგად მიხვდა, ვინ იყო სააკაშვილი და ის არ გაიკარა. ახლა ევროპულ სახელმწიფოებში – პოლონეთშიც კი სააკაშვილის რეიტინგი ძალიან დაბალი და უარყოფითია.

სააკაშვილს სჭირდებოდა ფული. მას ფულის გარეშე არ შეუძლია. ამიტომ მიმართა რუსეთში თავის კურატორებს. რატომაც არა. რუსებიც დიდი სიამოვნებით აფინანსებენ და თავიანთ რუპორად იყენებენ. არაერთი პროდასავლური პოლიტიკოსი გამხდარა პრორუსი პოლიტიკოსი.

***– სააკაშვილს ისეთი სტატუსი ჰქონდა საქართველოში, არ არის სასურველი, სხვა ქვეყნის სპეცსამსახურების წარმომადგენელი იყოს.***

– როდესაც სააკაშვილი პირველად გახდა საქართველოს პრეზიდენტი, მისი პირველი ვიზიტი მოსკოვში შედგა. მისი პრეზიდენტობის პირველი წელი რუსეთთან ტკბობისა და დაახლოების გვირგვინი იყო. რატომ დაიძაბა სიტუაცია რუსეთსა და საქართველოს შორის, ეს პერიოდი უნდა გამოვიკვლიოთ. სააკაშვილი პუტინს ხოტბას ასხამდა. ბიზნესმენთა მთელი კორპუსი ჩამოიყვანა და რუსეთს ობიექტები გადასცა. მაშინ ჩამოიყვანა ბენდუქიძეც, რომელიც რუსეთის ყველაზე დიდი 7 ბანკირის საბჭოს წევრი იყო. ელცინის მმართველობის დროს ის შედიოდა რუსეთის 21 მილიარდერი ბანკირის საბჭოში.

***– რა ელოდება სააკაშვილს უკრაინაში?***

– ალბათ, უკრაინელები ზომებს მიიღებენ. ზელენსკის ხელისუფლება ზომებს მიიღებს და სააკაშვილის პრორუსულ საქმიანობას გამოავლენს. ალბათ, მიშას მოუწევს რუსეთის ფედერაციაში გადასვლა, როგორც წავიდნენ უკრაინის პრეზიდენტი იანუკოვიჩი და კურჩენკო.

# გიგი უგულავა: „მოუწევთ სპეცრაზმით მოსვლა“

– გირაოს მელია არ გადაიხდის იმიტომ, რომ მას ამის გადახდა არ ეკუთვნის. ეს არის უკანონო ბეგარა, – განაცხადა „ევროპული საქართველოს“ წევრმა გიგი უგულავამ.

მისი თქმით, სამი გაუგებრობა, კობახიძე, თალაკვაძე და მდინარაძე, წყვეტენ ამ ქვეყნის ბედს.

– ეს ჭიქაში ქარიშხალი, რომელიც დათესეს მათ პროკურატურასთან ერთად, არის თავიდან ბოლომდე მათი უტვინობის, მათი არაკომპეტენტურობისა და მათი სიხარბის შედეგი, – აღნიშნა პოლიტიკოსმა.

მისი აზრით, გამოსავალი არის ერთი – ოდნავ აზრზე მოვიდნენ.

– მათ სამართავად ქვეყანა აბარიათ, სამწუხაროდ, მიტაცებული ძალაუფლებით, ამიტომ საქმეს მიხედონ და ეს სამარცხვინო პროცესი იურიდიულად როგორც უნდათ, ისე ჩააქრონ. სხვა შემთხვევაში მოუწევთ აქ სპეცრაზმით მოსვლა.

სპეცრაზმით თუ მოვლენ, ჩვენ ამ ხელებით დავხვდებით, მაგრამ წინააღმდეგობა იქნება ბოლომდე, არავინ უკან არ დაიხევს და ეს კარგად უნდა იცოდეს ყველამ, ვინც დღეს ხელისუფლებაშია, იმ „მანქურთებმა“ და „ცახესებმა“, ვინც ხელი დააჭირეს ღილაკს, უმრავლესობის დეპუტატებს ვგულისხმობ.

თითოეული მათგანი სამარცხვინო ბოძზე იქნება მთელი ცხოვრება. კოლექტიური ოდიშარიები სახეში შესაფურთხებლად გაიხდით თავს და ქუჩაში გამოსვლის შეგრცხვებათ. აქამდე თავს ნუ მიიყვანთ! – დასძინა გიგი უგულავამ.

## მტკვრიდან მაშველებმა ქალი ამოიყვანეს



გუშინ, 16 თებერვალს, მაშველებმა მდინარე მტკვრიდან ქალი ამოიყვანეს. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ინფორმაციით, შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ში შემოვიდა ინფორმაცია, რომ თბილისში, დიდუბის ხიდის მიმდებარედ, მდინარე მტკვარში ქალი იყო და ესაჭიროებოდა მაშველების დახმარება.

„ადგილზე უმოკლეს დროში გამოცხადდნენ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თანამშრომლები. სამაშველო ჯგუფების დროული რეაგირების შედეგად მოხერხდა წყლიდან ქალის უსაფრთხო ადგილას გამოყვანა.

ქალი იმყოფებოდა კონტაქტურ მდგომარეობაში. ის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ჯგუფის მიერ გადაყვანილია სამედიცინო დაწესებულებაში“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

## „შვილიშვილს, ნინი ცეცხლაძეს, მოკვლით დაემუქრა“

### სულიკო ცეცხლაძეს ბრალი წაუყენეს

ქობულეთში, სოფელ ქაქუთში 14 წლის ნინი ცეცხლაძის გარდაცვალების საქმესთან დაკავშირებით პროკურატურამ არასრულწლოვნის ბაბუას, სულიკო ცეცხლაძეს, ბრალდება წარუდგინა.

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2020 წლის 10 დეკემბერს და 2021 წლის იანვარში, ს.ც.-მ, გენდერული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა წინასწარი შეცნობით არასრულწლოვან შვილიშვილს ნ.ც.-ს და სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა მას.

სამართალდამცავებმა ს.ც. მოსამართლის განჩინების საფუძველზე, 2021 წლის 15 თებერვალს დააკავეს. დაკავების შემდეგ დაკითხვისას ს.ც.-მ 2020 წლის 10 დეკემბრის ეპიზოდი აღიარა და განაცხადა, რომ აღნიშნულ დღეს მან შვილიშვილის მიმართ ძალადობა განახორციელა.

ს.ც.-ს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე პრიმა მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით“ (წინასწარი შეცნობით არასრულწლოვანი ოჯახის წევრის მიმართ განხორციელებული ძალადობა, (ორი ეპიზოდი)) და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა, 151-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით (არასრულწლოვანი ოჯახის წევრის მიმართ განხორციელებული სიცოცხლის მოსპობის მუქარა) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 1-დან 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პროკურატურამ ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობით ბათუმის საქალაქო სასამართლოს უკვე მიმართა.



სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება გარდაცვლილი ნ.ც.-ს მიმართ შესაძლო სხვა ძალადობის ფაქტებზეც“, – აღნიშნულია უწყების განცხადებაში.

## ყვარლის გზაზე მანქანა ხეს შეასკდა

### 1 ადამიანი დაიღუპა, 1 დაშავდა

ყვარლის გზაზე ავტოსაგზაო შემთხვევა მსხვერპლით დასრულდა. სოფელ შილდასთან მსუბუქი ავტომანქანის მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა, გზის სავალი ნაწილიდან გადავიდა და ხეს შეეჯახა.

შედეგად, ადგილზე გარდაიცვალა ერთი მგზავრი, ერთი კი დაშავდა.

ადგილზე პოლიციაა მობილიზებული. მიმდინარეობს გამოძიება.

## რუსთავში 19 წლის ბიჭი კომაში ჩავარდა

15 თებერვალს, გვიან ღამით, რუსთავში 19 წლის ბიჭი უგონო მდგომარეობაში ნახეს. მას სასიცოცხლო ნიშნები არ ეტყობოდა, რის შემდეგაც ადგილზე სასწრაფო სამედიცინო დახმარების ეკიპაჟი გამოიძახეს.

არსებული ინფორმაციით, ახალგაზრდამ ინტოქსიკაცია ამ დროისთვის დაუდგენელი ნივთიერებით მიიღო.

– მამაკაცი შემოიყვანეს დაუზუსტებელი კომითა და სუნთქვის უკმარისობით. შემოსვლისას, რა თქმა უნდა, მდგომარეობა საყურადღებო იყო, – აცხადებს კლინიკის გადაუდებელი დახმარების განყოფილების ხელმძღვანელი თეა გელაშვილი.

ამ დროისთვის მამაკაცი მკურნალობას კლინიკის რეანიმაციულ განყოფილებაში გადის.

## „შონზომ ფული გამომართვა, წამიყვანა და მიმატოვა“

### კანადის ვიზების საქმეზე არავინ დასჯილა




„მთავარს“ დაუკავშირდა ადამიანების ჯგუფი, რომლებიც ამტკიცებენ, რომ წლების წინ ათობით ათასი დოლარი გადაუხადეს ზურაბ გაჩეჩილაძეს, იმავე შონზოს, კანადაში დასაქმების სანაცვლოდ.

ყველაფერი ასე დაიწყო – 7 ადამიანისგან შემდგარმა ჯგუფმა იპოვა შონზო, რომელიც მათ დაჰპირდა, რომ 15.000 დოლარის წინასწარ გადახდის სანაცვლოდ დუბაის გავლით კანადაში სამუშაოდ გაუშვებდა.

დაზარალებულების თქმით, შონზომ ისინი დუბაიში მიატოვა და ფული მიითვისა.

– მე შონზოსთან მქონდა საქმე, შონზომ წამიყვანა და მიმატოვა იქ... 10 ათასი შონზოსთვის უნდა მიგვეცა. სულ ჯამში 15 ათასში აკეთებდა, – ყვება სურაჯ ბარამიძე.

დუბაიში ყოფნა მოტყუებულ მოქალაქეებს 7 თვე მოუწიათ, რის შემდეგაც დიდი გაჭირვებით მათ საქართველოში დაბრუნება მოახერხეს.

შოუმენი კი დაზარალებულად და მოტყუებულად აქეთ მიიჩნევს თავს და არც მორალურ პასუხისმგებლობას გაურბის. ფინანსური პასუხისმგებლობა მან მეგობარს, შალვა ბეჟიაშვილს, დააკისრა.

სამართლებრივი დავა უკვე 4 წელია გრძელდება. ამ დრომდე არც დამნაშავეა გამოვლენილი და არც საკუთარი სახლების გარეშე დარჩენილი ადამიანები უცვნიათ დაზარალებულად.

2015-2016 წლებში კანადის ვიზების გაკეთება თბილისში ყველაზე გავრცელებული აფერა იყო. ათეულობით ადამიანის საჩივარი ყოველდღიურად რეგისტრირდებოდა ქალაქის მთავარ სამმართველოში და სასამართლოდან განსასჯელის სკამზე თითქმის არავინ მოხვედრილა.

## კიბერდანაშაულის წინააღმდეგ სისხლის სამართლის პოლიტიკა მკაცრდება



საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლის მიზნით შეიმუშავა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომლის მიღების შედეგად საქართველოს კანონმდებლობა დაუახლოვდება „კიბერდანაშაულის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციას, რაც ხელს შეუწყობს კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ეფექტიან ბრძოლას.

ცვლილების თანახმად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს ემატება ორი ახალი მუხლი.

2861 მუხლი, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით კომპიუტერული მონაცემის ან/და კომპიუტერული სისტემის ხელყოფის შემთხვევაში. აღნიშნული დანაშაულის ჩამდენი პირების მიმართ გათვალისწინებულია უფრო მკაცრი სასჯელი, ვიდრე სხვა კიბერდანაშაულებისათვის.

ასევე, სისხლის სამართლის კოდექსს ემატება 2862-ე მუხლი, რომელიც ყალბი კომპიუტერული მონაცემის შექმნისთვის ითვალისწინებს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას.

ინიცირებული კანონპროექტით მნიშვნელოვანი ცვლილებები ხორციელდება სისხლის სამართლის კოდექსის კიბერდანაშაულის თავში. მათ შორის, ცალკე დამამძიმებელ გარემოებად გამოიყო კიბერდანაშაულის ჩადენა კრიტიკული ინფრასტრუქტურის მიმართ.

კიბერდანაშაული 21-ე საუკუნის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს, რასაც ადასტურებს ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად გაზრდილი სტატისტიკა. დამნაშავეთა მხრიდან მუდმივად იხვეწება დანაშაულის ჩადენის ხერხები და მეთოდები, რაც სახელმწიფოს მხრიდან იმგვარი ნორმების ჩამოყალიბებას მოითხოვს, რომელიც, ერთი მხრივ, უპასუხებს კიბერდანაშაულის თანამედროვე ტენდენციებსა და გამოწვევებს, ასევე სრულ შესაბამისობაში იქნება საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

## 17 წლის ბიჭმა დედა დაჭრა

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ განჯალაში შვილმა დედა დაჭრა. 42 წლის ქალს ცივი იარაღით ჭრილობები მუცლის, გულ-მკერდისა და ქვედა კიდურის არეში აქვს მიყენებული.

მეზობლების ინფორმაციით, ქალს საკუთარი შვილი თავდაპირველად, სავარაუდოდ, ეჭვიანობის ნიადაგზე დაუპირისპირდა, ამის შემდეგ კი არასრულწლოვანი დანით დედას გაუსწორდა.

დაჭრილი ლაგოდეხის არქიმედეს კლინიკაში გადაიყვანეს. მას გადაუდებელი ქირურგიული ოპერაცია ჩაუტარდა. ექიმების თქმით, ქალი მართვით სუნთქვაზეა და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა.

პოლიციამ არასრულწლოვანი შვილი დააკავა.

უწყების ცნობით, დანაშაული 5-დან 8 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო და ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილ ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ფაქტზე, 2003 წელს დაბადებული რ.მ. დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ დაკავებულმა მიმდინარე წლის 15 თებერვალს, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ სოფელში 1978 წელს დაბადებულ დედას ცივი იარაღით ჯანმრთელობის დაზიანება მიაყენა. დაშავებულ ქალი გადაყვანილია კლინიკაში, სადაც შესაბამისი მკურნალობა უტარდება. პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა, ნივთმტკიცების სახით ამოიღო“, – ნათქვამია განცხადებაში.

მომხდარ ფაქტზე გამოძიება 117-ე მუხლით დაიწყო, რაც გულისხმობს სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებას.

## გომელაურმა გურიის და სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტებში თათბირი ჩაატარა



შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა აჭარის პოლიციის დეპარტამენტის შემდეგ სამუშაო თათბირი გურიისა და სამეგრელოს რეგიონებში, საპოლიციო დანაყოფის ხელმძღვანელებთან გამართა. შეხვედრებს მინისტრის მოადგილე ვლადიმერ ბორცვაძე დაესწრო.

გურიის და სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტებს ახალი დირექტორები ჰყავს. ვახტანგ გომელაურმა ოზურგეთში გამართულ თათბირზე გურიის პოლიციის დეპარტამენტის ახალ ხელმძღვანელ ლევან ხარაბაძეს წარმატებები უსურვა.

შინაგან საქმეთა მინისტრი გურიის შემდეგ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონს ეწვია. ზუგდიდში გამართულ შეხვედრაზე მინისტრმა თანამშრომლებთან სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში დანაშაულთან ბრძოლისა და საპოლიციო საქმიანობის მიმართულებით არსებული მდგომარეობა განიხილა.

სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტს 10 თებერვლიდან პოლიციის პოლკოვნიკი ნიკოლოზ დიასამიძე ხელმძღვანელობს.

როგორც მინისტრმა აღნიშნა, პოლიციის ოპერატიული საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, შინაგან საქმეთა სამინისტროში სტრუქტურული და საკადრო ცვლილებების მიზანია, პირველ რიგში, ჩვენი ქვეყნისა და მოქალაქეებისთვის მაქსიმალურად უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა.

ვახტანგ გომელაურმა გურიასა და სამეგრელოში გამართულ შეხვედრებზე შინაგან საქმეთა სამინისტროს პრიორიტეტულ მიმართულებებზე ისაუბრა და სამუშაო პროცესთან დაკავშირებით თანამშრომლებს შესაბამისი დავალებები მისცა.

## შსს-მ კოვიდ-19-ის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით მოქმედი რეგულაციების დარღვევის 873 ფაქტი გამოავლინა

შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების თანამშრომლები, ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების აღკვეთისა და პრევენციის მიზნით, სამართალდარღვევის ყველა ფაქტზე ოპერატიულად რეაგირებენ.

სამართალდამცველების მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად ბოლო 24 საათის განმავლობაში მთელი ქვეყნის მასშტაბით, დაწესებული შეზღუდვების ფარგლებში მოქმედი რეგულაციების დარღვევის 873 ფაქტი გამოვლინდა.

პოლიციამ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42(10)-ე მუხლის შესაბამისად 140 ფიზიკური პირი დააჯარიმა.

დაჯარიმებულთა შორის არიან მოქალაქეები, რომლებმაც 21 საათიდან დილის 5 საათამდე დაწესებული გადაადგილების შეზღუდვის წესი დაარღვიეს.

გარდა ამისა, 24 საათის განმავლობაში პირბადის ტარების წესის დარღვევის ფაქტზე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42(11)-ე მუხლის შესაბამისად 733 ფიზიკური პირი დაჯარიმდა.

შინაგან საქმეთა სამინისტრო კვლავ მოუწოდებს მოქალაქეებს, დაიცვან დაწესებული შეზღუდვები, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოყენებული იქნება კანონით გათვალისწინებული, შესაბამისი ზომები.

საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირი ვალდებულია, დაემორჩილოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში მოქმედ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს. შინაგან საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს მოქალაქეებს, გამოიჩინონ მაღალი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა და დაემორჩილონ არსებულ რეგულაციებს.

პირბადის ტარების წესის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობასა და ასკ-ის 42(11)-ე მუხლის შესაბამისად ჯარიმას 20 ლარის ოდენობით.

იზოლაციისა და კარანტინის წესის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობასა და ასკ-ის 42(10)-ე მუხლის შესაბამისად ფიზიკური პირის დაჯარიმებას 2.000 ლარით, ხოლო იურიდიული პირის – 10.000 ლარის ოდენობით.

განმეორებითი ჯარიმა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს.

## შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებმა უაქციზო თამბაქოს შენახვა-გადაზიდვის ფაქტები გამოავლინეს

შემოსავლების სამსახურის ცნობით, 940 კოლოფი უაქციზო სიგარეტის შენახვა-გადაზიდვის ორი ფაქტი გამოვლინდა. „16 თებერვალს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის სამეგრელოს, გურიისა და ზემო სვანეთის სამმართველოსა და მონიტორინგის სამმართველოს დასავლეთის განყოფილების თანამშრომლებმა, გატარებული ღონისძიებების შედეგად, ჯამში 940 კოლოფი უაქციზო სიგარეტის შენახვა-გადაზიდვის ორი ფაქტი გამოავლინეს.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 192-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, კანონდამრღვევ მოქალაქეებს უაქციზო საქონელი ჩამოერთვათ. აღნიშნულ ფაქტებზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 1552-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად შედგენილ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ორი ოქმი, ხოლო საქმეთა მასალები სასამართლოს ქვემდებარეობის მიხედვით გადაეგზავნა“, – აღნიშნულია ინფორმაციაში.

# ერაყში აშშ-ის სამხედრო ბაზას თავს დაესხნენ



ერაყის ჩრდილოეთ ნაწილში აშშ-ის სამხედრო ბაზაზე მომხდარ სარაკეტო თავდასხმას 1 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, 5 ადამიანი კი დაიჭრა.

დაღუპული პირი სამოქალაქო კონტრაქტორია, დაჭრილებს შორის კი ერთი ამერიკელი სამხედროა.

აშშ-ის მეთაურობით მოქმედმა კოალიციის სპიკერმა ტვიტერში დაწერა, რომ თავდასხმა ქურთების რეგიონის დედაქალაქ ერბილში განხორციელდა.

ქურთების უსაფრთხოების სამსახურის ინფორმაციით, რეგიონში, ერბილის საერთაშორისო აეროპორტის მახლობლად, მინიმუმ 3 რაკეტა ჩამოვარდა.

მომხდარზე პასუხისმგებლობა „სარაია ავლია ალ-დამმა“ აიღო. დაჯგუფების მტკიცებით, მათი სამიზნე ერაყში „ამერიკული ოკუპაცია“ იყო.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ანტონი ბლინკენმა განაცხადა, რომ ამ თავდასხმით შეერთებული შტატები „აღშფოთებულია“.

# 14 წლის გოგონამ მაჩეტეთი შეიარაღებული მძარცველები გააქცია



კოლუმბიის დედაქალაქ ბოგოტაში მაჩეტემომარჯვებულმა 14 წლის გოგონამ ორი შეიარაღებული მძარცველი აიძულა, შემთხვევის ადგილიდან გაქცეულიყვნენ.

აღნიშნული ინციდენტი მაღაზიაში დამონტაჟებულმა სათვალთვალო ვიდეოკამერებმა გადაიღო. ორი ბოროტმოქმედი მაღაზიაში იმ დროს შეიჭრა, როდესაც მისი პატრონი ნიდია ბუენავენტურა სალაროში ფულს ითვლიდა. მის გვერდით იმყოფებოდნენ მისი ქალიშვილები, მათ შორის 14 წლის ალექსანდრა პერესი და მათი ძაღლი.

როცა ერთ-ერთი ბოროტმოქმედი სალაროს გისოსებიანი კარის გაღებას შეეცადა, პერესმა მაჩეტეს დაავლო ხელი და მძარცველებს შეუტია.

– ეს არ მომხდარა არც პირველად და არც მეორედ, ამიტომ უკვე ნაფიქრი მქონდა, რომ თუ ასეთი რამ განმეორდებოდა, ავიღებდი მაჩეტეს და მათ დავცხებდი, – განმარტა გოგონამ ოდნავ მოგვიანებით.

ერთ-ერთმა მძარცველმა გოგონასთვის მაჩეტეს წართმევა ცადა, თუმცა ვერ შეძლო. ამის შემდეგ მან პისტოლეტიდან გაისროლა და გაიქცა. ორივე ბოროტმოქმედი მაღაზიიდან გამოვარდნის შემდეგ მოტოციკლს შემოახტა და გაიქცა. ამ ინციდენტის შედეგად ბუენავენტურამ მსუბუქი დაზიანება მიიღო.

# ისრაელში კოვიდზე აცრილი მოქალაქეებისთვის სასტუმროები და სპორტდარბაზები გაიღება



ისრაელი 21 თებერვლიდან სასტუმროებისა და სპორტდარბაზების იმ მოქალაქეებისთვის გაღებას გეგმავს, რომლებიც კორონავირუსის წინააღმდეგ სრულად არიან ვაქცინირებული ან კორონავირუსი გადატანილი აქვთ.

ისრაელი 27 დეკემბერს დაწესებული კარანტინის რეჟიმის თანდათან შემსუბუქებას კვირიდან მოლების, ღია ტიპის ბაზრობების, ბიბლიოთეკებისა და მუზეუმების გახსნით დაიწყებს.

ისეთ დაწესებულებებში შესვლის უფლება, როგორებიც სასტუმროები და სპორტდარბაზებია, „მწვანე პასპორტის“ მფლობელებს ექნებათ, რომელიც ჯანდაცვის სამინისტროს აპლიკაციაშია ასახული და რომელიც ადასტურებს, რომ მის მფლობელს კორონავირუსის მიმართ იმუნიტეტი აქვს.

ისრაელში, რომლის მოსახლეობა 9 მილიონს შეადგენს, მოქალაქეების 43%-ს ვაქცინის 1 დოზა მაინც გაკეთებული აქვს.

# ღვინის მწარმოებელი ფირმა ფულის სანაცვლოდ ალკოჰოლური სასმელის დალევის მსურველებს ეძებს



კომპანია HUN ეძებს ისეთ ადამიანებს, რომლებიც მზად იქნებიან, ფულის სანაცვლოდ ალკოჰოლური სასმელები მოიხმარონ.

ფირმა დაკავებულია სამხრეთაფრიკული ღვინის გაყიდვით, რომელიც ალუმინის ქილებშია ჩამოსხმული. იმ პირებს, რომლებიც მათი პროდუქციის დეგუსტაციაზე დასთანხმდებიან, 200 ფუნტს გადაუხდიან და სახლში ერთი წლის სამყოფ ღვინოს მიართმევენ. გარდა ამისა, ისინი მიიღებენ ახალი სახეობის ღვინოს, რომლის გამოშვებასაც HUN მიმდინარე წელს აპირებს.

აღნიშნულ აქციაში მონაწილეობის მსურველები უნდა დარეგისტრირდნენ კომპანიის ვებგვერდზე არაუგვიანეს 9 მარტისა. ისინი უნდა ცხოვრობდნენ დიდ ბრიტანეთში და მათი ასაკი 18 წელს უნდა აღემატებოდეს.

# ტრამპმა რესპუბლიკელების ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშოს

## გამოკითხვის შედეგები



აშშ-ში ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, რესპუბლიკელთა ელექტორატის სამი მეოთხედი აცხადებს, რომ ყოფილმა პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა პარტიის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშოს.

რესპონდენტთა 75% ინტერესს გამოთქვამს, რომ დონალდ ტრამპმა პარტიაში მნიშვნელოვანი როლის თამაში განაგრძოს, ხოლო 21%-მა განაცხადა, რომ აღნიშნული არ სურს.

– ორჯერ იმპიჩმენტის გამოცხადება, სოციალური ქსელების მხრიდან მისი გაჩუმება – მიუხედავად ყველაფრისა, დონალდ ტრამპს კვლავ მყარი პოზიციები აქვს რესპუბლიკურ პარტიაში, – განაცხადა ანალიტიკოსმა ტიმ მალოიმ.

გამოკითხვის ფარგლებში, 11 თებერვლიდან 14 თებერვლამდე პერიოდში, 1.156 ადამიანი გამოიკითხა.

გამოკითხვის ცდომილება 3%-ს შეადგენს.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# მამაკაცი ყინულიდან ძაღლის გადარჩენის მცდელობას შეეწირა



შოტლანდიის მკვიდრი მას შემდეგ დაიღუპა, რაც გაყინულ გუბურაში ჩავარდნილი ძაღლის გადარჩენას შეეცადა.

12 თებერვალს 66 წლის იენ მორელი ძაღლს, სახელად სიმბას გუბურის მახლობლად ასეირნებდა. საბელის გარეშე დარჩენილი ძაღლი გაიქცა და ყინულით დაფარულ წყალსატევზე აღმოჩნდა. უცბად ყინული ჩატყდა და ცხოველი გაყინულ წყალში აღმოჩნდა. მამაკაცი მის გადასარჩენად წყალში გადაეშვა და თავი შეუძლოდ იგრძნო.

მომხდარის თვითმხილველებმა მაშველები გამოიძახეს. ადგილზე მისულმა პარამედიკოსებმა მამაკაცი საავადმყოფოში გადაიყვანეს და მისი რეანიმირება ცადეს, თუმცა მორელის გადარჩენა ვერ მოხერხდა.

სიმბა წყლიდან ამოიყვანეს და ცხოველთა თავშესაფარში გადაიყვანეს. ის სპეციალისტების მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება.

# ინდონეზიის სოფელი სისხლისფერმა წყალმა დატბორა

ინდონეზიის ცენტრალური იავის პროვინციის ქალაქ პეკალონგანის მახლობლად მდებარე სოფელი ჯენგოტი სისხლისფრად შეღებილი წყლით დაიტბორა.



წყალდიდობა შაბათ დღეს მოხდა, ხოლო წყალმა ასეთი შეფერილობა მიიღო საღებავების კონცენტრატებისგან, რომლებიც ბატიკის ქარხანაში ინახებოდა. ამ ყოველივეს ამსახველი ვიდეოჩანაწერი ტვიტერში იქნა გამოქვეყნებული. სოციალური ქსელის მომხმარებლები აღნიშნავდნენ, რომ წყლის ფერი მათ სისხლს მოაგონებდათ.

ადგილობრივმა ხელისუფლებამ სოფლის მცხოვრებლები დაარწმუნა, რომ საღებავი მავნე ნივთიერებებს არ შეიცავს და, შესაბამისად, სიცოცხლისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს. სისხლისფერი წყალი ერთი საათის განმავლობაში სპეციალური ტუმბოების დახმარებით ამოქაჩეს.

ქალაქ პეკალონგანში ამზადებენ ბატიკს. ეს არის ქსოვილზე გამოსახულების შესაქმნელი ტრადიციული ინდონეზიური მეთოდი.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# სტუდენტი გოგონა 80 წლის მამაკაცს გაჰყვა ცოლად

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ქალაქ კეიპტაუნის მცხოვრები გოგონა ცოლად გაჰყვა თავისზე 51 წლით უფროს მამაკაცს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, წყვილმა გაცნობიდან ერთი წლის თავზე იქორწინა.



29 წლის ტერზელ რასმუსი 80 წლის უილსონ რასმუსს 2016 წელს შეხვდა ადგილობრივი გაზეთის მიერ გამართულ ღონისძიებაზე. გოგონას, რომელიც ჟურნალისტად მუშაობდა, მაშინვე უზომოდ შეუყვარდა თავისი ახალი ნაცნობი, მიუხედავად იმისა, რომ მამაკაცს მისი ასაკის შვილიშვილები ჰყავს.

– როდესაც სამუშაო დავასრულე, წვეულებაზე დავრჩი, სადაც ცეკვები დაიწყო. უილსონმა მთელი საცეკვაო მოედანი გადმოჭრა, მოვიდა იმ ადგილზე, სადაც მე ვიჯექი და მკითხა, შეიძლებოდა თუ არა, ჩემ გვერდით დამჯდარიყო. მან განმიმარტა, რომ შენიშნა, მარტო ვიყავი და სურდა, ჩემთვის კომპანიონობა გაეწია. მე დავთანხმდი და მას შემდეგ ერთმანეთს აღარ დავშორებივართ. მოგვიანებით გაირკვა, რომ მან ყურადღება ჯერ კიდევ ღონისძიების დაწყებამდე მომაქცია და გადაწყვიტა, უფრო ახლოს გავეცანი, – გაიხსენა ტერზელმა.

წყვილმა ტელეფონის ნომრები გაცვალა. მეორე დღეს ტერზელმა უილსონი პრესისთვის გამართულ ღონისძიებაზე მიიწვია, შემდეგ – კაფეში და მალე მათი ურთიერთობა დაიწყო.

წყვილმა 2017 წელს იქორწინა. მამაკაცი მეუღლის სწავლას აფინანსებს. ისინი საერთო შვილის ყოლას არ გეგმავენ, მაგრამ, თუ მოხდება ისე, რომ ტერზელი დაფეხმძიმდება, ის ნაყოფის მოშორებას არ აპირებს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

საზოგადოება

# ელენე ყიფშიძე 96 წლის გახდებოდა

დასაწყისი მე-8 გვერდზე

გელოვანი და ნანა მამალაძე. როსებასეული მარგოდან ცაგარელის სონამდე გარდასახვას სულ რაღაც 15 წუთი დასჭირდა. ელენე ყიფშიძეს 1969 წლიდან სონას როლში არავინ ჩანაცვლებია. ვიდრე ეს სპექტაკლი არსებობდა, შეუცვლელად თამაშობდა. სონაც სწორედ იმ როლების ჩამონათვალშია ნუცკიასთან, მაიასთან, ფოფიასთან, ლილისთან, ნენესთან, ებოლისთან თუ მრავალ სხვასთან, რისთვისაც ასე უყვარდა მაყურებელს ელენე ყიფშიძე. იყო საოცრად ამაღლებული განწყობა, ნიჭიერების ზეიმი, აღფრთოვანებული მაყურებელი ვერ მალავდა, რომ ერთი საოცარი თეატრალური სასწაულის მომსწრე ხდებოდა, როდესაც სამი-ოთხი საათის განმავლობაში გარდასახვის ნამდვილ ხელოვნებას ეზიარებოდა.

ბენეფისის პირველი ნაწილი ამით დასრულდა. მეორე მოქმედება დაიწყო ერისთავის „ძუნწით“ გოგი თოდაძის სპექტაკლიდან „ისევ ვოდევილები“. მონაწილეობდნენ: ნინო კობერიძე, ასმათ ტყაბლაძე, გია ბურჯანაძე, ავთო მიქაძე და თავად კარაპეტა დაბაღოვი – ელენე ყიფშიძე. „ჩემო ოქროს ფულებო“ – სიმღერა-მონოლოგს პრაქტიკულად მთელი დარბაზი აჰყვა. ოვაციებს ბოლო არ უჩანდა. ასეთი ამაღლებული განწყობა, ასეთი საყოველთაო სიყვარულის გამოცხადება მაყურებლისგან ერთეულთა ხვედრია და ელენე ყიფშიძე სწორედ იმ ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებულ არტისტთა შორის იყო, რომელსაც ეს სიყვარული არასოდეს აკლდა. თითქოს ბენეფისი კულმინაციისკენ მიდიოდა, სამი საათიც გასული იყო, სამი სხვადასხვა ნაწარმოები იყო გათამაშებული, მრავალფეროვნება, მრავალსახოვნება, ნიჭიერება – ყველაფერი უხვად მოდიოდა ბენეფისის მთავარი პერსონისგან, თუმცა „ძუნწის“ „პაკლონის“ შემდეგ დაეშვა კინოეკრანი და დაიწყო ფრაგმენტები ელენე ყიფშიძის კინოროლებიდან, მაგრამ ქართული კინო იმდენად სცოდავს მისი ნიჭიერების წინაშე, რომ სპეციალურად დამზადებული კინორგოლი ორ წუთში დასრულდა და სცენაზე კვლავ „თვალებაცელქებული“ ქალბატონი ნათელა ურუშაძე გამოჩნდა, რომელმაც ახლა უკვე მიკიბ-მოკიბვის გარეშე გამოაცხადა, ამჯერად ჩვენი საღამოს მთავარმა გმირმა კაცი-კარაპეტადან ლენა ყიფშიძემდე გადმოცმა ვერ მოასწრო და მე ამ პაუზას შევავსებო. ახლა უკვე ქალბატონმა ნათელამ ჩვეული იუმორით მოგვითხრო კურიოზული ეპიზოდები, რომლებიც ასევე მრავლად იყო ლენა ყიფშიძის შემოქმედებით თუ პირად ცხოვრებაში. ამასობაში ქალბატონი ელენეც გალამაზდა და დაიწყო მთავარი სიურპრიზი მაყურებლის თვალწინ – უგრიმოდ და უკოსტიუმოდ, პატარა რეპლიკების კოლაჟით ის უცებ გადაიქცა ფოფიად, თენგიზ მაისურაძესთან ერთად გათამაშებული „სექსუალური“ ეპიზოდით სპექტაკლიდან „ეზოში ავი ძაღლია“, შემდეგ უცებ ღრმად მოხუცებული ჩიტოლია გახდა „ჩემი ეიფელის კოშკიდან“ გივი ბერიკაშვილის პარტნიორობით, უცებ ჩაირთო მუსიკალური ფრაზა „ტაკიმასხარადან“ და ირაკლი უჩანეიშვილთან ერთად ცეცხლოვანი ტანგო შეასრულა, რომელსაც მოულოდნელად მოჰყვა მაიას მონოლოგი „მაია წყნეთელიდან“... საღამოს კულმინაცია იყო ტიგრან ჰოპოპიანცის ცნობილი „გავლით“ შემოსული შოთა მშვენიერაძე, რომელსაც სრულიად ახალბედა გიორგი ყიფშიძე მოჰყვებოდა უკან, რომლებმაც შეიპირეს, რომ სონას „ოინბაზიდან“ მათთან ერთადაც ითამაშებდა. მოკლედ, ასე დასრულდა ბენეფისი, რომელიც 90-იანების შავბნელ დროში უზარმაზარი სინათლე და ნიჭიერების ზეიმი იყო.

მალე ქალბატონმა ელენემ შეასრულა შოთა მშვენიერაძის თხოვნა და კიდევ ერთხელ აღადგინა „ძველი ვოდევილები“. ვინაიდან ამ სპექტაკლში მეც ვმონაწილეობდი, ბევრი რამ მაქვს გასახსენებელი და ცალკე დავწერ, მით უმეტეს, გადაკვეთის წერტილი ბევრი გვქონდა – ის თამაშობდა დედაჩემს სპექტაკლში „მშვიდობის დღესასწაული“, ერთად ვმონაწილეობდით „ნაცარქექიაში“, „ურიელ აკოსტაში“, შემდეგ „ვოდევილებში“ იყო ჩემი რეჟისორი და პარტნიორი. ჩემს პირველ სპექტაკლში „ქამუშაძის გაჭირვება“ – ჩემი ეკვირინე. კიდევ იყო მარიკა კვალიაშვილის მიუზიკლი „ბებოს კონცერტი“, მისი საიუბილეო საღამოს რეჟისორობა და წამყვანობა... მოკლედ, დასაწერი ბევრია...

ძალიან მომინდა, მომეგონებინა ქართული თეატრის ნამდვილი, კაშკაშა ვარსკვლავი ელენე ყიფშიძე, მისთვის უბედნიერესი დღის გახსენებით. დღეს ხომ მისი დაბადების დღეა. დაბადების დღე, რომელიც ძალიან უყვარდა. მის იმ პატარა ერთოთახიან ბინაში საოცარი დაბადების დღეები მახსენდება. ის ავბედითი შემთხვევა, რომელიც თავის უსაყვარლეს სცენაზე მოუვიდა, ასე ვთქვათ, „საწარმოო ტრავმა“, საბედისწერო აღმოჩნდა. ვინ წარმოიდგენდა, რომ მისი ენერგიისა და სიცოცხლის წყურვილით ანთებული ადამიანის სიცოცხლე 80 წლამდეც კი ვერ მიაღწევდა.

საოცარი სანახავია მისი საფლავი დიდუბის პანთეონში, განსაკუთრებით მაშინ, როცა მის თავთან დარგული ბროწეულის ხე აყვავილდება ან თუნდაც როცა ნაყოფით დაიხუნძლება. ასეთი არტისტები არ კვდებიან.

ქალბატონო ელენე, არ უყვარდა, გიჟდებოდა, ასე რომ მივმართავდით, უფროსო მეგობარო, ლენა, ვასილევნა, ლენოჩკა, ძვირფასო – გილოცავთ დაბადების დღეს! ელენე ყიფშიძე 96 წლის გახდა!

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# აია და აკადემია ფლეი ოფში



საქართველოს მორაგბეთა ჩემპიონატში შეფერხებებია – კორონავირუსის გამო მე-8 ტურიც მატჩნაკლული გამოდგა. გადაიდო პატარძეულის ვეფხვებისა და თბილისის ლოკომოტივის მატჩი.

თუმცა გაირკვა ფლეი ოფის 2 მონაწილე – ქუთაისის აია და თბილისის აკადემია.

### ხარები-აკადემია 21:14

მართალია, აკადემიამ წააგო, მაგრამ ბონუსქულა აიღო, რაც ფლეი ოფში ნაადრევად გასასვლელად საკმარისი აღმოჩნდა. რუსთაველები კი ამ მოგების შემდეგ სატურნირო ცხრილში მე-2 ადგილზე არიან. მაგრამ ფლეი ოფისთვის ჯერ ბრძოლაა და მათ ერთ უშუალო კონკურენტ თბილისის ლოკომოტივს თამაში გამოტოვებული აქვს.

ხარებმა პირველ ტაიმში უკეთ ითამაშა და 15:6 დაწინაურდა. აკადემიამ შესვენების შემდეგ მატჩის გადარჩენა ცადა. მიზანთან ახლოსაც იყო, მაგრამ არ გამოუვიდა.

### არესი-არმაზი 25:30

ქუთაისის არესმა შინ მარნეულის არმაზთან 25:30 წააგო და მომდევნო ეტაპზე გასასვლელად გზა გაირთულა. თუმცა ქუთაისური გუნდი ფლეი ოფში მოხვედრის თეორიულ შანსს ჯერ კიდევ ინარჩუნებს.

თამაში გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. თავდაპირველად არმაზელები დაწინაურდნენ, მაგრამ ტაიმი არესმა მოიგო – 15:13.

შესვენების შემდეგ არესმა ზეწოლა კიდევ უფრო გააძლიერა და 77-ე წუთისთვის 25:18 იგებდა. აი, აქ კი მოხდა საოცრება: მარნეულელებმა 3 წუთში მეტოქეს 2 ლელო გაუტანეს და უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვეს – 30:25.

### ლელო-იუნკერები 21:24

ორივე გუნდი ფლეი ოფში გასვლისთვის იბრძვის, ამიტომ მათ დაპირისპირებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ლელომ თამაში კარგად დაიწყო და 28-ე წუთისთვის 14:3-ს იგებდა. თუმცა იუნკერებმა ტაიმის მიწურულს ანგარიშში სხვაობა შეამცირეს – 13:14.

შესვენების შემდეგ იუნკერები უკეთ გამოიყურებოდნენ და 56-ე წუთისთვის უკვე 21:14 დაწინაურდნენ. მატჩის დასრულებამდე 5 წუთით ადრე ლელოელებმა ანგარიში გაათანაბრეს, მაგრამ მალევე ჯარიმა გაუშვეს და წააგეს.

### აია-ჯიქი 71:0

ქუთაისის აიამ აუტსაიდერ გორის ჯიქს უმასპინძლა და დიდი ანგარიშით, 71:0 დაამარცხა. მასპინძლებმა მეტოქეს 11 ლელო გაუტანეს და ფლეი ოფში თამაში გაინაღდეს.

### ბათუმი-ყოჩები 19:15

ბათუმისა და ბოლნისის ყოჩების შეხვედრა ზღვისპირელების გამარჯვებით დასრულდა – 19:15.

შესვენებამდე ბათუმი უკეთ თამაშობდა და 13:6 მოიგო. მე-2 ტაიმში ყოჩებმა ერთი საჯარიმოთი მეტი გაიტანა, მაგრამ მატჩის გადასარჩენად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა.

**სატურნირო ცხრილი:**

**ა ჯგუფი:** 1.აკადემია (28 ქულა); 2. ხარები (22); 3. იუნკერები (22): 4. ლოკომოტივი (18): 5. ლელო (17); 6. ვეფხვები (4);

**ბ ჯგუფი**: 1.აია (33); 2. ბათუმი (25); 3. ყოჩები (22); 4. არესი (17); 5. არმაზი (10); 6. ჯიქი (6).

# ვილი სანიოლის გზა საქართველომდე



15 თებერვალს ქართული ფეხბურთი 31 წლის გახდა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ 22-ე მწვრთნელი დაგვინიშნა. ახალი თავკაცი 43 წლის ვილი სანიოლია – წარსულში საფრანგეთის ნაკრების ფეხბურთელი. 2006 წლის 2 სექტემბერს თბილისში განახლებული „დინამო არენის" გახსნაზე საქართველოს ნაკრების წინააღმდეგაც ითამაშა. ფრანგებმა 3:0 მოგვიგეს. საკლუბო დონეზე კი სენტ ეტიენში, მონაკოსა და მიუნხენის ბაიერნში უთამაშია.

საფეხბურთო კარიერა მშვენიერი აქვს: საფრანგეთის ნაკრებთან ერთად არის მსოფლიოს ვიცეჩემპიონი (2006) და კონფედერაციის თასის ორგზის გამარჯვებული (2001, 2003). ბაიერნის შემადგენლობაში უეფას ჩემპიონთა ლიგა (2001) და გერმანიის ჩემპიონის ტიტული ხუთჯერ (2001, 2003, 2005, 2006, 2008) მოიგო.

იმავეს ვერ ვიტყვით სამწვრთნელო კარიერაზე: 2013-14 წლებში საფრანგეთის 21 წლამდე ნაკრების მთავარი მწვრთნელი იყო. შემდეგ მწვრთნელის რანგში საკლუბო კარიერა დაიწყო და 2014-16 წლებში ფრანგულ ბორდოს ხელმძღვანელობდა. ბოლოს კი ბაიერნში კარლო ანჩელოტის თანაშემწე იყო და, როდესაც იტალიელი გუნდიდან გაუშვეს, 8 დღეს წვრთნიდა ბავარიულ გრანდს.

მივყვეთ ეტაპობრივად: ახალგაზრდულ გუნდში მუშაობისას 6 თამაში მოიგო და ორი ფრედ ითამაშა. შესარჩევ ეტაპზე 2 თამაში მოუგო ბელარუსს, 2 სომხეთს, თითოც ყაზახეთსა და ისლანდიას. 2 ფრე კი ამხანაგურად ითამაშა გერმანელ და ნიდერლანდელ თანატოლებთან.

ბორდოში 88 მატჩის ხელმძღვანელობა მოასწრო. სტატისტიკური მაჩვენებელი ასეთია: 35 მოგება, 27 ფრე და 26 წაგება. ბურთების შეფარდება კი უარყოფითი აქვს – 122:124-ზე.

ბაიერნში მუშაობის 8 დღის განმავლობაში მხოლოდ ერთი მატჩი გამართა და ჰერტასთან, რომელიც ფრედ, 2:2 დასრულდა.

ბოლო სამწელიწად-ნახევარი უმუშევარია...

როგორც ხედავთ, სანიოლის სამწვრთნელო ხარისხი არცთუ ისე მაღალია. თუმცა, ასეა თუ ისე, ფაქტს ველარ გავექცევით და ფრანგი სპეციალისტი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასრულებელმა კომიტეტმა ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე დაამტკიცა. სანიოლის დებიუტი საქართველოს ეროვნულ ნაკრებში 2021 წლის 25 მარტს შედგება, როდესაც 2022 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ ტურში საქართველოს ნაკრები სტუმრად შვედეთს დაუპირისპირდება.

# ილიას ზუროსი ვარჯიშს შეუდგა



საქართველოს საკალათბურთო ნაკრები ევრობასკეტ 2022-ის საკვალიფიკაციო ტურნირის ე ჯგუფის დარჩენილი 2 მატჩისთვის ემზადება. ჩვენთვის ეს თამაშები არაფერს წყვეტს – როგორც მასპინძლებს, ევროპირველობაზე თამაში გარანტირებული გვაქვს. თუმცა ილიას ზუროსის გუნდი მაინც მოტივირებულია და 4 ტურში 4 მოგებით ჯგუფს ლიდერობს. მომავალი მეტოქეები კი სერბეთი და ფინეთი არიან. ორივე გუნდს უნდა კონტინენტის მთავარ ტურნირზე თამაში, რისთვისაც მოგებები სჭირდებათ და მოტივაციაც მეტი აქვთ.

ზუროსის გუნდი ამ „ბაბლის" მატჩებს დანაკლისით ხვდება: გუნდს ტრავმის გამო ვერ ეხმარება კაპიტანი თორნიკე შენგელია. კოვიდპანდემიის რეგულაციების გამო – გიორგი ცინცაძე. ამერიკაში გახურებული სეზონია და ვერ ჩამოვიდნენ გოგა ბითაძე და სანდრო მამუკელაშვილი. და მაინც, ჩვენები შემართებით ემზადებიან და უკვე 4 ვარჯიშიც გამართეს.

პირველ დღეს, გიორგი შერმადინის გარდა, ნაკრებში გამოძახებულმა ყველა კალათბურთელმა ივარჯიშა. შერმადინი დარბაზში იყო, მაგრამ არ გამოუცვლია, რადგან აეროპორტიდან პირდაპირ სპორტის სასახლეში მოვიდა. შერმადინი დაესწრო საღამოს ვარჯიშსაც, მაგრამ, მწვრთნელისა და ექიმების რეკომენდაციით, ნაკრების ლიდერი, რომელმაც ახლახან ესპანეთის თასის ნახევარფინალში მადრიდის რეალის წინააღმდეგ ითამაშა, დაასვენეს.

პირველ დღეს მეტი დრო ინდივიდუალურ ვარჯიშებს დაეთმო. დაცვასა და კომბინაციებზე ზუროსმა ნაკრები გუშინ ამუშავა.

ილიას ზუროსმა პრესკონფერენციაც გამართა, სადაც თად მაკფადენსა და ნაკრების ახალწვეულ კონერ ფრენკაპზეც ისაუბრა:

– მაკფადენს თებერვალში რთული გრაფიკი ჰქონდა, ითამაშა საკონტინენტთაშორისო თასზე, ესპანეთის ჩემპიონატსა და თასზე. ამ ეტაპზე ახალი ამერიკელი გამთამაშებლის ჩამოყვანა გადავწყვიტეთ. ფრენკაპი ნიჭიერი და მრავალმხრივი კალათბურთელია. კონერს კარგი ხასიათი აქვს და გვჯერა, რომ საქართველოს ნაკრებს, რომელიც ერთი ოჯახია, კარგად შეეწყობა. კონერი 2021 წლის თებერვლის „ბაბლზე" სერბეთთან და ფინეთთან დაგვეხმარება – რთული სათქმელია, ითამაშებს თუ არა ევრობასკეტ 2021-ზე.

თებერვლის „ბაბლის" ჩატარება თორნიკე შენგელიას გარეშე მოგვიწევს, რომელმაც ტრავმა მიიღო. შენგელია საქართველოს ნაკრებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი კალათბურთელია. ასევე ვერ დაგვეხმარებიან ამერიკაში მოთამაშე კალათბურთელები – შუა სეზონში ნბა-დან არავინ არავის უშვებს. სანდრო მამუკელაშვილი ანალოგიურ ვითარებაში იმყოფება, რატი ანდრონიკაშვილი კი ტრავმირებულია. გადატვირთული გრაფიკის მიუხედავად, გიორგი შერმადინმა ჩამოსვლა შეძლო – შერმადინი სერბეთთან და ფინეთთან გასამართი მატჩებისთვის ემზადება. ტრავმის მიუხედავად, ბექა ბურჯანაძე გუნდთან ერთად ვარჯიშობს.

ევრობასკეტის მასპინძლის სტატუსით ვსარგებლობთ და ტურნირზე ასპარეზობა გარანტირებული გვაქვს. მიუხედავად ამისა, 4 მატჩი მოვიგეთ და ჯგუფიდან მაინც გავიდოდით. ეს ყველაფერი ექსპერიმენტების საშუალებას გვაძლევს. გვინდა, ნაკრებს რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდა შევაჩვიოთ. მნიშვნელოვანია, რომ მათ ჩვენთან ერთად ისწავლონ ბრძოლა და გამარჯვება.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# შედეგები

**15 თებერვალი**

**ფეხბურთი**

### ინგლისი. პრემიერლიგა

ვესტ ჰემი-შეფილდი ........ 3:0
ჩელსი-ნიუკასლი ........ 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 23 | 16 | 5 | 2 | 46-14 | 53 |
| 2.მანჩესტერი | 24 | 13 | 7 | 4 | 50-31 | 46 |
| 3.ლესტერი | 24 | 14 | 4 | 6 | 42-26 | 46 |
| 4.ჩელსი | 24 | 11 | 6 | 6 | 40-24 | 42 |
| 5.ვესტ ჰემი | 24 | 12 | 6 | 6 | 37-28 | 42 |
| 6.ლივერპული | 24 | 11 | 7 | 6 | 45-32 | 40 |
| 7.ევერტონი | 22 | 11 | 4 | 7 | 34-30 | 37 |
| 8.ასტონ ვილა | 22 | 11 | 3 | 8 | 36-24 | 36 |
| 9.ტოტენჰემი | 23 | 10 | 6 | 7 | 36-25 | 36 |
| 10.არსენალი | 24 | 10 | 4 | 10 | 31-25 | 34 |
| 11.ლიდსი | 23 | 10 | 2 | 11 | 40-42 | 32 |
| 12.ვულვზი | 24 | 8 | 6 | 10 | 25-32 | 30 |
| 13.საუთჰემპტონი | 23 | 8 | 5 | 10 | 30-39 | 29 |
| 14.კრ.პალასი | 24 | 8 | 5 | 11 | 27-42 | 29 |
| 15.ბრაიტონი | 24 | 5 | 11 | 8 | 25-30 | 26 |
| 16.ბარნლი | 23 | 7 | 5 | 11 | 17-29 | 26 |
| 17.ნიუკასლი | 24 | 7 | 4 | 13 | 25-40 | 25 |
| 18.ფულემი | 23 | 3 | 9 | 11 | 19-31 | 18 |
| 19.ვესტ ბრომვიჩი | 24 | 2 | 7 | 15 | 19-55 | 13 |
| 20.შეფილდი | 24 | 3 | 2 | 19 | 15-40 | 11 |

### გერმანია. ბუნდესლიგა

ბაიერნი-არმინია ........ 3:3

### ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

კადისი-ბილბაო ........ 0:4

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ატლეტიკო | 21 | 17 | 3 | 1 | 44-13 | 54 |
| 2.რეალი | 23 | 15 | 4 | 4 | 41-19 | 49 |
| 3.ბარსელონა | 22 | 14 | 4 | 4 | 49-21 | 46 |
| 4.სევილია | 22 | 14 | 3 | 5 | 32-16 | 45 |
| 5.ვილიარეალი | 23 | 8 | 12 | 3 | 32-24 | 36 |
| 6.სოსიედადი | 23 | 10 | 8 | 5 | 37-20 | 38 |
| 7.ბეტისი | 23 | 10 | 3 | 10 | 31-38 | 33 |
| 8.გრანადა | 23 | 8 | 6 | 9 | 27-38 | 30 |
| 9.სელტა | 23 | 7 | 8 | 8 | 29-34 | 29 |
| 10.ბილბაო | 22 | 8 | 4 | 10 | 32-26 | 28 |
| 11.ლევანტე | 22 | 6 | 9 | 7 | 31-32 | 27 |
| 12.ოსასუნა | 23 | 6 | 7 | 10 | 22-31 | 25 |
| 13.ხეტაფე | 23 | 6 | 6 | 11 | 17-29 | 24 |
| 14.ვალენსია | 23 | 5 | 9 | 9 | 28-32 | 24 |
| 15.კადისი | 23 | 6 | 6 | 11 | 20-39 | 24 |
| 16.ალავესი | 23 | 5 | 7 | 11 | 20-34 | 22 |
| 17.ეიბარი | 23 | 4 | 9 | 10 | 19-26 | 21 |
| 18.ვალიადოლიდი | 23 | 4 | 9 | 10 | 22-34 | 21 |
| 19.ელჩე | 21 | 3 | 9 | 9 | 19-31 | 18 |
| 20.უესკა | 23 | 2 | 10 | 11 | 18-33 | 16 |

### ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

კასტელონი-ფუენლაბრადა ........ 1:2
ოვიედო-ლუგო ........ 3:1

### იტალია. სერია ა

ვერონა-პარმა ........ 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ინტერი | 22 | 15 | 5 | 2 | 54-24 | 50 |
| 2.მილანი | 22 | 15 | 4 | 3 | 45-25 | 49 |
| 3.იუვენტუსი | 21 | 12 | 6 | 3 | 41-19 | 42 |
| 4.რომა | 22 | 13 | 4 | 5 | 47-35 | 43 |
| 5.ნაპოლი | 21 | 13 | 1 | 7 | 45-21 | 40 |
| 6.ატალანტა | 22 | 11 | 7 | 4 | 49-29 | 40 |
| 7.ლაციო | 22 | 12 | 4 | 6 | 37-30 | 40 |
| 8.ვერონა | 22 | 9 | 6 | 7 | 28-24 | 33 |
| 9.სასუოლო | 22 | 9 | 7 | 6 | 36-33 | 33 |
| 10.სამპდორია | 22 | 9 | 3 | 10 | 33-33 | 30 |
| 11.ჯენოა | 22 | 6 | 7 | 9 | 24-31 | 25 |
| 12.ბოლონია | 22 | 6 | 6 | 10 | 29-36 | 24 |
| 13.სპეცია | 22 | 6 | 6 | 10 | 30-38 | 24 |
| 14.უდინეზე | 22 | 6 | 6 | 10 | 23-31 | 24 |
| 15.ბენევენტო | 22 | 6 | 6 | 10 | 25-42 | 24 |
| 16.ფიორენტინა | 22 | 5 | 7 | 10 | 22-35 | 22 |
| 17.ტორინო | 22 | 2 | 11 | 9 | 32-41 | 17 |
| 18.კალიარი | 22 | 3 | 6 | 13 | 24-40 | 15 |
| 19.პარმა | 22 | 2 | 7 | 13 | 15-43 | 13 |
| 20.კროტონე | 22 | 3 | 3 | 16 | 23-52 | 12 |

### იტალია. სერია ბ

კოზენცა-რეჯინა ........ 2:2

### საფრანგეთი. ლიგა 2

სოშო-ვალანსიენი ........ 2:0
ტულუზა-აიაჩო ........ 3:0

### პორტუგალია. პრიმეირა ლიგა

სპორტინგი-ფერეირა ........ 2:0

### ბელგია. ა დივიზიონი

გენტი-მუსკრონი ........ 4:0

### თურქეთი. სუპერლიგა

გენჩლერი-ბეშიქთაში ........ 0:3
ანთალია-მალათია ........ 1:1

### დანია. სუპერლიგა

კოპენჰაგენი-სონდერიისკე ........ 3:2

**ჩოგბურთი**

**ავსტრალიის ღია პირველობა**

### კაცები

დიმიტროვი-კარაცევი 6:2,4:6,1:6, 2:6

### ქალები

სე-ოსაკა ........ 2:6,2:6
ჰალეპი-ს.უილიამსი ........ 3:6,3:6

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 — 12-დან 17 საათამდე

# კროსვორდი ბ



**შვეულად**: 1. სამიჯნურო ხასიათის სპარსული ოთხსტრიქონიანი ლექსი; 2. ადამიანის სულიერი განცდის, მღელვარების გამოვლენა; 3. მადერას ტიპის ღვინოების დასამზადებლად გამოყენებული პორტუგალიური ვაზის ჯიში; 4. მქრქალი-ცისფერი ძვირფასი ქვა; 6. ესპანეთის კუნძული ხმელთაშუა ზღვაში, პოპულარული საკურორტო ზონა; 8. მთიანეთი სამხრეთ ამერიკაში; 11. ფუფუნებით განებივრებული ადამიანი; 12. ამერიკელი ბიოქიმიკოსი, დნმ-ის აღმომჩენი; 16. ხეობა სტეფანწმინდის რაიონში; 17. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი გერმანული ქიმიურ-სამრეწველო კონცერნი; 18. გარეული ცხოველი, მადრიდის სიმბოლო.

**თარაზულად**: 1. ძვირფასი მაჯის საათების მწარმოებელი შვეიცარიული ფირმა; 5. რაიმე შემთხვევის შემსწრე, მნახველი; 7. მედიცინის ერთ-ერთი დარგი; 9. მეცნიერის, ფილოსოფოსის, ექიმის იბნ-სინას მეორე სახელი; 10. დაკეპილი ხორცისგულიანი სვანური ორცხობილა; 13. აეროპორტი ბუქარესტში; 14. ცხარე ბოსტნეული; 15. ტანსაცმლის მწარმოებელი გერმანული ფირმა; 19. პატარა სასადილო იტალიაში; 20. ტერიტორიული ერთეული ძველად საქართველოში; 21. შემაგრებული ღვინო; 22. აზერბაიჯანული მაწონი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. არეშიძე; 2. კარმენი; 3. პლზენი; 4. ბურდა; 5. ნოვატორი; 7. ტბა; 11. ვარანი; 15. კამპუსი; 16. ბელუჩი; 17. ტოკაი; 18. გაყრა; 20. სოფია; 22. რომი.

**თარაზულად:** 6. რეკეტი; 8. ჩარხილი; 9. თურნავა; 10. შარტავა; 12. დუნაი; 13. აქატი; 14. ჰიტრიონი; 19. კომპასი; 21. ქოჩარი; 23. ალალი; 24. საღამო; 25. ქსილიტი; 26. გარდიანი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ჭოროხი; 2. თუშეთი; 3. აპოთეოზი; 4. მიტენი; 6. ლოველასი; 8. პრიზმა; 11. ტალავარი; 12. მუტაცია; 16. ჭინკა; 17. ტანგო; 18. შერპი.

**თარაზულად:** 1. ჭიათურა; 5. გუელი; 7. ოპუნცია; 9. ომმეტრი; 10. ვერსაჩე; 13. მენზულა; 14. ოაზისი; 15. იუტა; 19. მარტინი; 20. საფერავი; 21. გარპაგონი; 22. ფინეთი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

17 თებერვალი


**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 3.2898

ევრო — 3.9912

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.5758

100 რუსული რუბლი — 4.4865

**ამინდის პროგნოზი 17 თებერვლისათვის**




## 23 თებერვლიდან

## ქართული საბავშვო მოთხრობის ანთოლოგია

## ტომი 2




სერია „ქართული საბავშვო მოთხრობის ანთოლოგიაში“ თავმოყრილია სხვადასხვა ეპოქისა და მიმდინარეობის ქართველი მწერლების რჩეული საბავშვო მოთხრობები. მათი წაკითხვა ფრიად გაამდიდრებს ბავშვის ფანტაზიას, წარმოსახვის უნარს, ლექსიკას და შეაყვარებს ლიტერატურას.

**ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი**

## პიკემ ვარჯიში განაახლა



ბარსელონის ცენტრალურმა მცველმა ჟერარ პიკემ ვარჯიში განაახლა და მალე მოედანს დაუბრუნდება.

ჯერჯერობით უცნობია, როდის მოხდება ეს, მაგრამ პიკეს, შესაძლოა, ძირითად შემადგენლობაში დაბრუნება გაუჭირდეს, რადგან ბარსელონაში მის ადგილას უკვე დიდი კონკურენციაა.

თვითონ ფეხბურთელმა განაცხადა, რომ მას სურს, რაც შეიძლება მალე დაუბრუნდეს მოედანს და ყველას დაუმტკიცოს, რომ ტრავმას მის სათამაშო კონდიციებზე არ უმოქმედია.

## გვარდიოლა: „მესისთან ერთად სიამოვნებით ვიმუშავებდი“



მანჩესტერ სიტის მთავარმა მწვრთნელმა ხოსეპ გვარდიოლამ განაცხადა, რომ მესისთან ერთად სიამოვნებით იმუშავებდა და თავის გუნდშიც იხილავდა, თუმცა არ იცის, ეს რამდენად რეალურია:

– მესისთან ერთად მუშაობა ჩემთვის დიდი პატივი იყო და ის არა მარტო შესანიშნავი ფეხბურთელი, არამედ კარგი ადამიანიც არის, რომელთან ერთად ისევ დიდი სიამოვნებით ვიმუშავებდი.

მესის სავარაუდო მომავალ გუნდად მანჩესტერ სიტისაც ასახელებენ.

## ტიმო ვერნერი: „გატანილი გოლები ფსიქოლოგიურად მეხმარება“



ჩელსის გერმანელმა ფორვარდმა ტიმო ვერნერმა ნიუკასლთან შეხვედრაზე ისაუბრა და თქვა, რომ გატანილი გოლები მას თავდაჯერების მოპოვებაში ეხმარება და ეს პირველ რიგში მისთვის ფსიქოლოგიური თვალსაზრისით არის მნიშვნელოვანი:

– მიხარია, რომ ჩემმა გოლებმა ჩელსის გამარჯვება მოუტანა და ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია პირველ რიგში იმისთვის, რომ მომავალში მოედანზე უფრო თავდაჯერებული გავიდე.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## იუმორი

ცოლი ქმარს ურეკავს და ეკითხება:

– საყვარელო, მოწყენილი ხარ?

– ძალიან, და შენ რომელი ხარ?

●●●

აფთიაქში ქალი გამყიდველს ეკითხება:

– მეუღლისთვის რომელი ჯობია: ვალიდოლი თუ ვალერიანის წვეთები?

– რა დიაგნოზი აქვს?

– 1000-ლარიანი ფეხსაცმელი...

●●●

მამაკაცი მეზობელ ქალს ეუბნება:

– გუშინ თქვენი სიმღერა მოვისმინე.

– ოჰ, რას მეუბნებით, უბრალოდ, დროს ვკლავდი!

– ჰოო, მაშინ ამისთვის საშინელი იარაღი შეგირჩევიათ!

ცოლი ქმარს ეუბნება:

– ძვირფასო, ექიმმა მითხრა, რომ მეხსიერება დაგიბრუნდა...

– ჰო. იპოთეკა უკვე დაფარე?

– არა, ჯერ კიდევ ბევრია გადასახდელი.

– უკაცრავად, თქვენ ვინ ხართ, ქალბატონო?

●●●

გოგო ბიჭს ეუბნება:

– გიგი, რატომ არასოდეს მეუბნები ქათინაურებს?

– და ეგ რა არის?

– რა და რაიმე კარგი რომ მითხრა, მაგალითად, ჩემს ფიგურაზე.

– ჰოო... ფიგურა კარგი გაქვს... გეტყობა, რომ არ შიმშილობ...

## ნიანგი დებს თავს დაესხა და ერთ-ერთი იმსხვერპლა

ზიმბაბვეს ქალაქ კარიბას მახლობლად ნიანგმა მოკლა გოგონა, ხოლო მისი და დაშავა.

შაბათს უფროს დას ოთხი წლის პიშუ ალბერტო საკუთარი ზურგით ნაკადულზე გადაჰყავდა. გოგონები სხვა ბავშვების ჯგუფთან ერთად გადაადგილდებოდნენ.

მოულოდნელად პიშუს თავს დაესხა ნიანგი. ამ თავდასხმის შედეგად გოგონა დაიღუპა, ხოლო მისმა დამ სერიოზული დაზიანებები მიიღო.

დაღუპულის ცხედარი ადგილობრივებმა ნახეს და რეპტილია შემთხვევის ადგილზე ზიმბაბვეს ეროვნული პარკების ზედამხედველების მისვლამდე მოკლეს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## თემო საჯაია და მარიტა ჯანაშია ბიჭის მშობლები გახდებიან



მომღერალი თემო საჯაია და მოდელი მარიტა ჯანაშია პირველი შვილის მოლოდინში არიან.

თემომ და მარიტამ პირველი შვილის სქესის პრეზენტაცია ტელეკომპანია „პოსტ ტივის“ პირდაპირ ეთერში მოაწყვეს.

თემომ შავი ბუშტი გახეთქა, საიდანაც ცისფერი ბრჭყვიალები გადმოცვივდა, რაც იმის ნიშანია, რომ წყვილი ბიჭის მშობელი გახდება.

## „ჩემი ცოლის დაქალები“ მარტიდან დაბრუნდება

ქართული სერიალი „ჩემი ცოლის დაქალები“ მარტიდან მონატრებულ ტელემაყურებელს დაუბრუნდება.

შემოქმედებითმა ჯგუფმა სერიალის რიგით მე-17 სეზონის გადაღებები უკვე დაიწყო.

„ფორმულა“ კრეატივის ხელმძღვანელობამ უკვე დააანონსა, რომ „ჩემი ცოლის დაქალები“ „ფორმულას“ სატელევიზიო ეთერს მარტიდან დაიკავებს.

## „სუხიშვილები“ საგასტროლო ტურნეს იწყებს



23 თებერვლიდან ანსამბლი „სუხიშვილები“ უკრაინაში ერთთვიან საგასტროლო ტურნეს იწყებს.

ხანგრძლივი იძულებითი პაუზის შემდეგ ქართველი მოცეკვავეები უკრაინის ქალაქებს ესტუმრებიან და მონატრებული მაყურებლისთვის იცეკვებენ.

პანდემიის მიუხედავად, „სუხიშვილების“ კონცერტები მაინც ჩატარდება. გასტროლების ორგანიზატორები ყველანაირ რეგულაციას მკაცრად დაიცავენ.

## ელენე ყიფშიძე 96 წლის გახდებოდა



თეატრისა და კინოს მსახიობი ელენე ყიფშიძე 96 წლის გახდებოდა. საიუბილეოდ ხელოვანი რეჟისორმა დიმიტრი ხვთისიაშვილმა გაიხსენა:

– 1990 წელს ნატაშა ჩხიკვაძის ინიციატივით დაფუძნდა ფირმა „ბერიკა“... ამ ფირმას, მრავალ კეთილ საქმეთა შორის, მსახიობთა ბენეფისების მივიწყებული ტრადიციის აღდგენა ეწადა. ჩვენამდე მოაღწია იმ შთაბეჭდილებამ, რომელიც 50-იანი წლების ბოლოს რუსთაველის თეატრში გამართული ნოდარ (ბიჭიკო) ჩხეიძის ბენეფისის მაყურებლისგან გადმოცემით ვიცოდით. ის იყო ბოლო. და, აი, ნატაშა და რამაზ ჩხიკვაძეებმა გადაწყვიტეს, ბენეფისების ტრადიცია აღედგინათ და პირველი ბენეფისისთვის შეარჩიეს ელენე ყიფშიძე.

ვიდრე მთავარ სათქმელზე გადავალ, მოკლედ აღვწერ ბენეფისის მიმდინარეობას. საღამოს, რომელიც 17 მაისს გაიმართა, რეჟისურა მედეა კუჭუხიძემ ითავა. სცენა წარმოადგენდა სპექტაკლ „პრემიერის“ დეკორაციის დეტალებს. ბენეფისის პირველი ნაწილი სწორედ ამ წარმოდგენიდან გათამაშებულ ეპიზოდებს დაეთმო. მასში, მთავარი პერსონის გარდა, მონაწილეობდნენ: გურანდა გაბუნია, ნინიკო ჩხეიძე, ზანდა იოსელიანი, ნოდარ მგალობლიშვილი, ავთო მიქაძე, ნანი ჩიქვინიძე. ბატონი იაკობ ტრიპოლსკი უკვე გარდაცვლილი იყო და ბენეფისზე რეჟისორ ირაკლის როლი სპეციალურად ამ დღისთვის მოამზადა კოტე მახარაძემ. ჩაიარა პირველმა ეპიზოდმა და სცენაზე ქალბატონი ნათელა ურუშაძე შემობრძანდა. მან დეტალურად გაიხსენა ქალბატონი ლენას შემოქმედებითი გზა, ის როლები, რომლებიც განსაკუთრებულად დაამახსოვრდა ქართველ მაყურებელს. ისაუბრა დიდხანს... ვისაც მისი საჯარო გამოსვლები მოუსმენია, დამერწმუნება, რომ ქალბატონი ნათელა საუცხოო ორატორი გახლდათ, თუმცა ამ შემთხვევაში საუბრის დროს დროდადრო პაუზებს აკეთებდა, თითქოს რაღაცას აყურადებდა, შემდეგ აგრძელებდა და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. უცებ თვალები ეშმაკურად აუთამაშდა და მაყურებლის წინაშე „აღიარებითი“ ჩვენება მისცა: ამდენს, იცით, რატომ ვლაპარაკობ? ვერ მოასწრეს დეკორაციის შეცვლა, ახლა შემატყობინეს, მზად ვართო და მეც გაგეცლებითო. გაიხსნა ფარდა არჩილ კერესელიძის ცნობილი ჰანგებით და დაიწყო ვასო გოძიაშვილის დადგმული „ძველი ვოდევილების“ პირველი ნაწილი – ავქსენტი ცაგარელის „ოინბაზი“. მონაწილეობდნენ ირაკლი უჩანეიშვილი, გოგი

გაგრძელება მე-6 გვერდზე

## ასტროპროგნოზი



**17 თებერვლისათვის**

**ვერძი** – წინააღმდეგობრივი დღეა. პირველი ნახევარი იღბლიანია ახალი ურთიერთობების დასაწყებად. საღამოს პარტნიორთან კონფლიქტს ელოდეთ. **კური** – კრიტიკული დღეა. მხოლოდ საკუთარი შესაძლებლობების იმედად იყავით. იოლად ნურავის მიენდობით. **ტყუპები** – სასიცოცხლო პოტენციალი მაღალია. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები თამამად მიიღეთ. **კირჩხიბი** – შესაძლოა მოულოდნელად გამგზავრება მოგიხდეთ. ინტიმურ სფეროში აქტიურობას პლანეტები არ გირჩევენ. **ლომი** – დღის პირველ ნახევარში ყოველგვარი კომერციული საქმიანობა დაუშვებელია. საყვარელ ადამიანთან ემოციებს ნუ გამოავლენთ. **ქალწული** – ახალი სასიამოვნო ინფორმაცია თქვენს ცხოვრებას შეცვლის. შანსს ხელიდან ნუ გაუშვებთ. **სასწორი** – გადახედეთ სამომავლო გეგმებს. მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას დღეს ნუ მიიღებთ. **ღრიანკალი** – ნებისმიერი საქმიანობისადმი შემოქმედებითი მიდგომა სასიკეთო შედეგს გამოიღებს. ბავშვების ინტერესები გაითვალისწინეთ. **მშვილდოსანი** – კეთილისმყოფელი დღეა. იაქტიურეთ. შემოთავაზებულ წინადადებებზე უარს ნუ იტყვით. **თხის რქა** – იღბლიანი პერიოდია ახალი იდეების რეალიზაციისათვის, ასევე საპირისპირო სქესთან ურთიერთობისათვის. **მერწყული** – სარისკო ფინანსური ოპერაციებისგან თავი შეიკავეთ. სუფთა ჰაერზე გასეირნება სასიკეთოდ წაგადგებათ. **თევზები** – კარგი დღეა საქმიანი შეხვედრებისათვის. ოჯახურ პრობლემებს იოლად მოაგვარებთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი



**შვეულად**: 1. ლუდის მწარმოებელი ქართული ფირმა; 2. სიკო დოლიძის კინოკომედია; 3. მოკლე იუმორისტული საესტრადო, საცირკო პიესა; 4. ვულკანური წარმოშობის ძალზე მსუბუქი ფოროვანი მინერალი; 5. უბანი სოხუმში; 7. ფუტკრის სადგომი; 11. ხელოვნების ერთ-ერთი სფერო; 15. სამდინარო გემის მეთაური; 16. ამერიკული ჯიპი; 17. გემთმშენებელი საწარმო; 18. ხორცის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 20. საჭმელი სოკო; 22. აეროპორტი თელ-ავივში.

**თარაზულად**: 6. ფორმულა-1-ში მონაწილე ესპანელი ავტომრბოლელი; 8. რაიმეს განხილვა შეფასების მიზნით; 9. გემის საჭის საბრუნი ბერკეტი; 10. რაიონული ცენტრი იმერეთში; 12. ყველაზე მრავალრიცხოვანი ინდიელთა ტომი სამხრეთ ამერიკაში; 13. ომის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 14. მსოფლიოში პირველი კოსმონავტი; 19. აშშ-ის პრეზიდენტი; 21. ქართველთა სათვისტომო მამული პარიზის მახლობლად; 23. ბელინის ოპერა; 24. ზრდილობიანი მიმართვა მამაკაცისადმი თურქეთში; 25. ქალაქის ელექტროტრანსპორტი; 26. ყველაზე წვრილი ფული ბრიტანეთში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*